საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიანიც ბოჭდეული სიფცეა, ფეიფლებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 18 აპრილი. 2024 წელი №47 (9727) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ფართოდ გააცილეთ თვალები!

ლარი ჯონსონი:

დასავლეთი მუშაობს საქართველოში ისევ ფერადი რევოლუციის მოსაწყობად!

მარტივად რომ ვთქვათ, დასავლეთი მუშაობს საქართველოში ფერადი რევოლუციის მოსაწყობად. ეს არ არის ორგანული, საშინაო, თავისთავად შექმნილი პროტესტი, რასაც ტელევიზორის ეკრანებიდან თვალს ვადევნებთ, - ამის შესახებ CIA-ს ყოფილი ჩინოსანი, **ლარი ჯონსონი** აცხადებს.

მისი განცხადებით, იმ კანონპროექტის გაპროტესტება, რომლის მსგავსიც არსებობს აშშ-სა და სხვა ქვეყნებში, წარმოაჩენს დასავლეთის ორმაგ სტანდარტებს. ჯონსონი ასევე აღნიშნავს, რომ კანონი, რომელიც მოითხოვს უცხოური შემოსავლის მითითებას, წარმოჩენილი იყოს ადამიანის უფლებების დარღვევად და თავისუფლების ხელყოფად.

„ეს კანონი, რომელიც შეთავაზებულია და მგონი, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში პირველ ეტაპზე გავიდა, უბრალოდ მოითხოვს, რომ საქართველოში მოქმედმა ნებისმიერმა ორგანიზაციამ, რომელიც იღებს ფულს საზღვარგარეთის სუბიექტისგან, დაარეგისტრიროს და განსაზღვროს რა არის ამ შემოსავლის წყარო. ეს წარმოადგინეს (კანონის მოწინააღმდეგეებმა), როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა, თავისუფლების ხელყოფა – ეს უბრალოდ სრული სისულელეა“, – აცხადებს **ლარი ჯონსონი.**

ჯინ შარპი:



ხავერდოვანი რევოლუციის ზოგადი ტექნოლოგია

4

გვთავაზობთ ამერიკელი პროფესორის, ჯინ შარპის ნაშრომის „დიქტატურიდან დემოკრატიამდე“ გამოქვეყნებას. ნაშრომი ქართულად თარგმნეს ნინო წოწორიამ და ნოდარ ლაბარტყავამ.

პარლამენტმა გუშინ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა

ღლის ცოცხეში:

პარლამენტი ქართველმა ხალხმა აირჩია იმისთვის, რომ მიიღოს ქართული კანონები და ეს პარლამენტი იღებს ამ კანონებს. როდესაც უკრძალავენ მას და არგუმენტების გარეშე მიუთითებენ, რა მიიღოს და რა არა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი!

შალვა პაპუაშვილი

თუ ჩვენს პარტნიორებს უნდათ, რომ საქართველო იყოს სუვერენული ქვეყანა და უცხოელები ფულს რიცხავდნენ გამჭვირვალედ, მაშინ ეს კანონი უნდა მივიღოთ!

გურამ მაჭარაშვილი

მთავარი, რაც დღეს ჩვენ გვჭირს, არის ის, რომ დავკარგეთ სიყვარული... რაც ყველაზე მეტად მაშფოთებს, დღეს ამ სიყვარულს აღარ ვეძებთ. უნდა შევეცადოთ, რომ ეს სიყვარული მოვძებნოთ.

ხომ შეიძლება, რომ დავსხდეთ და მშვიდად, არგუმენტებით ვილაპარაკოთ. რატომ ხდება ისე, რომ ნებისმიერი განსხვავებული აზრი უკვე ხდება აგრესიის მსხვერპლი?! დიპლომატები, ჟურნალისტები, ხელოვნების წარმომადგენლები, ეს იმ სფეროების წარმომადგენლები არიან, რომელიც ხელშეუხებელი უნდა იყოს.

მარინა ლობჟანიძე

სახელმწიფოს სუვერენიტეტს თუ არ დავიცავთ, დაგვემართება ის, რაც დაემართა უკრაინას

2

არ მოვწყდეთ ჩვენს სულიერებასა და ტრადიციებს!

იხ. 5 გვ.

14 აპრილს, დედაენის დღეს, დაფუძნდა აკადემიური, ერის გამაერთიანებელი აზრისა და სიტყვის დამამკვიდრებელი არაპოლიტიკური, ორგანიზაცია „საზოგადოება ქართული“. დღეს გთავაზობთ ამ აპოლიტიკური ორგანიზაციის მიმართვას ქართველი საზოგადოებისადმი.

როდის და როგორ წერდა კავკასიელი ხალხი ქართული ანბანით

7



სახელმწიფოს სუვერენიტეტს თუ არ დავიცავთ, დაგვემართება ის, რაც დაემართა უკრაინას

ირაკლი კობახიძე:

დარწმუნებული ვართ, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი არათუ საფრთხეს არ შეუქმნის ევროინტეგრაციას, პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

კობახიძის თქმით, თუ რაიმეს ემსახურება აღნიშნული კანონი, ესაა ევროინტეგრაციის ამოცანა.

„ჩვენ თუ არ დავიცავთ სახელმწიფოს სუვერენიტეტს, დაგვემართება იგივე, რაც დაემართა უკრაინას და ასეთ შემთხვევაში, უკან მოგვრჩება მშვიდობაც და ევროინტეგრაციაც. შესაბამისად, თუ რაიმეს ემსახურება ეს კანონი, ეს არის ჩვენი ევროინტეგრაციის ამოცანა – სუვერენიტეტის გარეშე ევროპაში ვერ შეხვალ“!

ღირსებით წინ, ევროპისკენ

სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვას და შესაბამისად, კანონის საბოლოოდ მიღებას ვერაფერი დაუდგება წინ. ღირსებით გამჭვირვალობით და სუვერენიტეტით ევროპისკენ, ეს არის ჩვენი დევიზი და სულისკვეთება, გვჯერა, რომ გამჭვირვალობით და სუვერენიტეტით შეგვიძლია, გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა. წინ ღირსებით ევროპისკენ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა.

კობახიძის თქმით, ახლა პროცესები წარიმართება კულისებიდან და სწორედ მათ მოეთხოვებათ განსაკუთრებული პასუხი.

„ჩვენთვის ძვირფასია ის მოქალაქე, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი და წაუკითხავ კანონს მეორედ აპროტესტებს. ჩვენთვის ძვირფასია ის მოქალაქეც, რომელიც „ფრანკლინის კლუბში“ შეცდომაში შეჰყავთ. მინდა, გავაფრთხილო ყველა, თავი შეიკავონ ძალადობისა და პროვოკაციებისგან. ყველა სამართალდამრღვევი აგებს კანონის სიმკაცრით პასუხს. განსაკუთრებით მოეთხოვებათ პასუხი მათ, ვინც კულისებში იმალებიან. არსებითად პროცესები წარიმართება კულისებიდან. სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვას და შესაბამისად კანონის საბოლოოდ მიღებას ვერაფერი დაუდგება წინ. გვჯერა, რომ გამჭვირვალობით და სუვერენიტეტით შეგვიძლია, გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა. წინ ღირსებით ევროპისკენ“, – განაცხადა **კობახიძემ.**

ამასთან, კობახიძემ მადლობა გადაუხადა სამართალდამცველებს.

„გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი რომ ყოფილიყო გახარია ან მერაბიშვილი, რამდენიმე მომიტინგის ცხედარს ჯიხურის თავზე მიაგნებდით. რამდენიმე ადამიანი თვალს დაკარგავდა. გვახსოვს, როგორ მთავრდებოდა ამ ადამიანების მიერ ჩატარებული ოპერაციების უმრავლესობა. თუმცა მადლობა ღმერთს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობს არა უცხოური ძალის აგენტი, არამედ პატრიოტი კაცი ვახტანგ გომელაური, რომელიც უმაღლესი ევროპული სტანდარტებით უძღვება პოლიციის საქმიანობას. მადლობა პოლიციელებს, რომლებიც მოთმინებით იტანდნენ ფიზიკურ ძალადობას და რამდენიმე ინციდენტს თუ არ ჩავთვლით, ისინი ევროპული სტანდარტებით დაუპირისპირდნენ მომიტინგეთა აგრესიულ ნაწილს, რომლებიც უკიდურესად არაევროპულად მოქმედებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ მძიმე ფიზიკური დაზიანება არავის მიუღია, ორივე მომიტინგეს, რომელსაც ჰოსპიტალიზება დასჭირდა, დროულად გაეწია დახმარება“, – განაცხადა **კობახიძემ.**

ექვს თვეში ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, რომელიც იქნება, მათ შორის, რეფერენდუმი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონთან დაკავშირებით

...ამ კანონის სახალხო ლეგიტიმაციას რაც შეეხება, სულ რაღაც ექვს თვეში ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, რომელიც იქნება მათ შორის, რეფერენდუმი ამ კანონთან დაკავშირებით. ყველა ძალიან კარგად ნახავს, რომ, საბოლოო ჯამში, ამ კანონს ექნება დაახლოებით 60-პროცენტიანი მხარდაჭერა ქართულ საზოგადოებაში. შესაბამისად, ყველა დაელოდოს არჩევნებს და ნურავინ, პირველ რიგში, სალომე ზურაბიშვილი ნუ ისაუბრებს ქართველი ხალხის სახელით, როცა ის პირდაპირ ღალატობს ქართველ ხალხს და ქვეყნის კონსტიტუციას!.. – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

კონკრეტული „ენჯეოები“ ჩართული იყვნენ ეკონომიკური პროექტების ჩაგდებაში!

კონკრეტული „ენჯეოები“ იყვნენ ჩართული სტრატეგიული ეკონომიკური პროექტების ჩაგდებაში, რის გამოც უკვე მიადგა ზიანი ჩვენი ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ინტერესს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს რომ ემოქმედა, „ენჯეოებს“ გაუჭირდებოდათ, ემოქმედათ ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ინტერესების წინააღმდეგ.

სალომე ზურაბიშვილი თავად არის უცხოური გავლენის აგენტი

სალომე ზურაბიშვილი თვითონ არის უცხოური გავლენის აგენტი. შესაბამისად, ერთადერთი, ვისი ხმაც არის სალომე ზურაბიშვილი, ესაა შესაბამისი უცხოური ძალა, გლობალური ომის პარტია!

კობახიძეს კითხვა დაუსვეს საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის განცხადებაზე, სადაც მან გამჭვირვალობის კანონპროექტთან დაკავშირებით აღნიშნა: „კანონს ვეტოს ნამდვილად დავადებ, ჩემი ვეტო ხალხის ხმაა“.

მთავრობა მუდამ იქნება სპორტსმენების გვერდით!

კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ სიბინძურეში სპორტსმენების გასვრის მცდელობა არის უმდაბლესი საქციელი, ვპირდები თითოეულ სპორტსმენს, რომ საქართველოს მთავრობა იქნება მათ გვერდით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა.

კობახიძის თქმით, ბოლო ორი დღის განმავლობაში იგივე ადამიანები ახდენდნენ სპორტსმენებზე ზეწოლას, ვინც ორი წლის წინ ხვიჩა კვარაცხელიას და თორნიკე შენგელიას მოღალატეებს უწოდებდნენ.

„ენჯეოებს“ არასდროს დაუგმიათ მოწოდებები მეორე ფრონტზე!

„ენჯეოებს“ არასდროს დაუგმიათ მოწოდებები მეორე ფრონტთან დაკავშირებით. მაშინ გამჭვირვალობის შესახებ კანონს რომ ემოქმედა, ეს ორგანიზაციები ომის პროპაგანდისგან უფრო მეტად შეიკავებდნენ თავს და საკუთარ დონორებს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდებდნენ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

კობახიძის თქმით, ახლა თავხედურად საუბრობენ რუსულ ინტერესებზე.

„2022 წელს „ენჯეოები“ ღიად შეუერთდნენ მეორე ფრონტის კამპანიას. ისინი ომის დაწყებიდან პირველივე დღეებში ითხოვდნენ სანქციების დაწესებას, უკრაინაში მებრძოლი მოხალისეების გაგზავნას მთავრობის ოფიციალური თანხმობით, რაც ნიშნავდა ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლას. პირველივე წელს გვექნებოდა ეკონომიკის, სულ მცირე, ათპროცენტიანი ვარდნა, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე მილიარდ დოლარს დაკარგავდა ჩვენი ეკონომიკა.

პარადოქსია, რომ აქციები იმართება სუვერენიტეტის არგანმტიკიცების ლოზუნგით!

საზოგადოების ნაწილი გამოჰყავთ რუსთაველზე და აყენებინებენ მოთხოვნას, არ გვინდა, გვქონდეს ინფორმაცია, ვინ რაში ხარჯავს ფულსო, აბსურდი და პარადოქსია! კობახიძის თქმით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონი ითვალისწინებს, რომ საქართველოს მოქალაქემ მიიღოს ინფორმაცია ფულის ხარჯვის თაობაზე.

„35 წლის წინ ქართველები რუსთაველის გამზირზე სუვერენიტეტის ლოზუნგით გამოდიოდნენ, ისინი ითხოვდნენ სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას საბჭოთა სისტემისგან, დღეს, უბრალოდ, პარადოქსია, რომ აქციები ამავე რუსთაველის გამზირზე იმართება სუვერენიტეტის არგანმტიკიცების ლოზუნგით, არ გვინდა სახელმწიფო სუვერენიტეტი, არ გვინდა, ვიცოდეთ, ვინ რაში ხარჯავს ფულს. საზოგადოების ნაწილი გამოჰყავთ რუსთაველზე და აყენებინებენ მოთხოვნას, არ გვინდა, გვქონდეს ინფორმაცია, თუ ვინ რაში ხარჯავს ფულს.

აბსურდი და პარადოქსია. ეს კანონი ითვალისწინებს, რომ საქართველოს მოქალაქემ უნდა მიიღოს ინფორმაცია ფულის ხარჯვის თაობაზე. საზოგადოების ნაწილი გამოჰყავთ და აყენებინებენ მოთხოვნას, არ მინდა ფულთან დაკავშირებით ინფორმაციის ცოდნა, არ მინდა, სუვერენიტეტი იყოს მყარი. მე მინდა, რომ ვიღაცამ აქ კიდევ ერთხელ სცადოს რევოლუციის მოწყობა საკუთარი გაუმჭვირვალე დაფინანსებით, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია“...

შალვა პაპუაშვილი:

პრეზიდენტი ყველანაირ ზღვარს გასცდა! ის საქართველოს სახელმწიფოდ არ მიიჩნევს

სალომე ზურაბიშვილი ყველანაირ ზღვარს სცდება, საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებას უჩივის სხვა ქვეყნის ხელისუფლებასთან, როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფოდ არ მიიჩნევს, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.

პაპუაშვილი გამოეხმაურა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, სალომე ზურაბიშვილმა შარლ მიშელსა და ემანუელ მაკრონს მიმართა საქართველოში განვითარებული მოვლენები ევროპული საბჭოს სხდომაზე განიხილონ.

„საერთოდ სასწაულია უკვე, ქალბატონი სალომე ყველანაირ ზღვარს სცდება. გამოდის, რომ საკუთარი ქვეყნის ხელისუფლებას უჩივის სხვა ქვეყნის ხელისუფლებაში. არც კი ვიცი, საერთოდ ასეთი გამოცდილება ისტორიაში თუ არსებობდა. არ მინდა, შევადარო რაღაც ცენტრებს და ასე შემდეგ, მაგრამ ცენტრში როცა მიდიოდა ჩივილები, ეს გვახსოვს მაშინ, როცა 30 წლის წინ საქართველო იყო ნაწილი საბჭოთა კავშირისა. ეს მიდგომა თუ აქვს, რომ ვიღაცას უნდა უჩივლოს თან სხვა სახელმწიფოში, საფრანგეთის პრეზიდენტი რა შუაშია საერთოდ საქართველოს პარლამენტის საქმიანობასთან. სალომე ზურაბიშვილისგან ქვეყნის მიმართ აბსოლუტურად გაუგონარი დამოკიდებულება გვაქვს. როგორც ჩანს, ამ ქვეყანას სახელმწიფოდ არ მიიჩნევს“, – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

სალომე ზურაბიშვილის კიდევ ერთი დამბეზღებელი წერილი ევროპას!

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს და საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს მიმართა, საქართველოში განვითარებული მოვლენები ევროპული საბჭოს სხდომაზე განიხილონ, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი სხდომის დღის წესრიგში შეტანილი არ არის!

მანამდე ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი მკაფიო განცხადებით გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ პარლამენტში “აგენტების” შესახებ კანონპროექტის კვლავ ინიცირებას და ხაზი გაუსვა, რომ ის საქართველოს ევროკავშირს დააშორებს: **„ქართველმა ხალხმა აირჩია ევროპული გზა და პასუხად, ევროპულმა საბჭომ საქართველოს გასულ დეკემბერში კანდიდატის სტატუსი მიანიჭა. ნება მომეცით, ვიყო მკაფიო: უცხოური გავლენის გამჭვირვალობაზე კანონპროექტი არ შეესაბამება საქართველოს ევროკავშირში მისწრაფებებს, მისი გაწევრების ტრაექტორიას და საქართველოს ევროკავშირს დააშორებს, არ მიაახლოებს“.**

ვასილ მაღლაფერიძე:

ჩვენ აზროვნებაც აღარ გვჭირდება!

ვთქვათ და საქართველოს პარლამენტს შიგნიდან ძალადობით და გარედან ზეწოლით ხელი გადაუგრიხეს და ასე ძალის-ძალად ეს კანონი არ მიაღებინეს, ეს ვინმეს დემოკრატია და ევროპული გზა ჰგონია?! ანუ ჩვენი პარლამენტი აღარ გვჭირდება?! – ამის შესახებ საქართველოს პირველი არხის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ვასილ მაღლაფერიძე** სოციალურ ქსელში წერს, რომელიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს აფასებს.



როგორც მაღლაფერიძე აღნიშნავს, თუ ძალადობის გზით აიძულეს პარლამენტს რაიმეს მიღებას ან არმიღებას, ამით, ფაქტობრივად, ვაუქმებთ პარლამენტს.

ასევე, მაღლაფერიძე აქციაზე ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტს გამოეხმაურა და აღნიშნავს: **„ჟურნალისტებზე სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა რომ ჩვეულებრივი ამბავი გახდა და ამით შეშფოთებულთა ხმები რომ არ ისმის, ვითომ ესეც ევროპისკენ სლვის ნიშანია?!“**

„ვთქვათ და საქართველოს პარლამენტს შიგნიდან ძალადობით და გარედან ზეწოლით ხელი გადაუგრიხეს და ასე ძალის-ძალად ეს კანონი არ მიაღებინეს, ეს ვინმეს დემოკრატია და ევროპული გზა ჰგონია?!

ანუ ჩვენი პარლამენტი აღარ გვჭირდება?! საერთოდ აზროვნებაც აღარ გვჭირდება?! ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო, ხშირხშირად რომ ვიმეორებდით, ასე ღიად ქარს გავატანეთ?! გარედან გვეტყვიან, როგორ უნდა ვიცხოვროთ საკუთარ ქვეყანაში?

რა უნდა დააშავოს რომელიმე კანონმა ისეთი, რა დარტყმასაც იღებს სახელმწიფო იმით, რომ ისედაც კონსტიტუციის დამრღვევი პრეზიდენტი სხვა სახელმწიფოების მეთაურებს მიმართავს, ზემოქმედება მოახდინეთ ჩემი ქვეყნის პარლამენტზე, რომ მან რომელიღაც კანონი არ მიიღოსო. გამოდის, არც კონსტიტუცია ნიშნავს რამეს, არც პრეზიდენტი და არც პარლამენტი!

თუ ეს კანონი მართლაც მიუღებელია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის, რამდენიმე თვეში არჩევნებია და მოსახლეობა ისეთ პარლამენტს აირჩევდა, რომელიც შეცვლიდა ამ კანონს, თუ არა ვიცხოვრებდით ამ კანონით. ევროპული დემოკრატია ასე მუშაობს და ამიტომ გვინდა ევროპა. მაგრამ თუ ძალადობის გზით აიძულეს პარლამენტს რაიმეს მიღებას ან არმიღებას, ამით, ფაქტობრივად, ვაუქმებთ პარლამენტს.

პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია, ახლა პარლამენტის გაუქმებას ცდილობენ და ასე ევროპაში კი არ წავალთ, ძლივს შეკოწიწებულ სახელმწიფოს ძირს გამოვუთხრით და დავშლით.

P.S. ჟურნალისტებზე სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა რომ ჩვეულებრივი ამბავი გახდა და ამით შეშფოთებულთა ხმები რომ არ ისმის, ვითომ ესეც ევროპისკენ სვლის ნიშანია?!“

ის, რაც კარგია ქართველი ხალხისთვის, კარგია ევროპული მომავლისთვის – ბრმად არავის მოწოდებას არ უნდა მივყვეთ

ჩვენ ბრმად არავის მოწოდებას არ უნდა მივყვეთ. ჩვენ ამოვდივართ იმ ინტერესიდან, რომელიც ამ ქვეყანას აქვს. ქართველი ხალხი და საქართველო არის ევროპული ქვეყანა და ჩვენ ვართ ევროპელი ხალხი, ამიტომ ის, რაც კარგია ქართველი ხალხისთვის, კარგია ევროპული მომავლისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, **შალვა პაპუაშვილმა** მედიასთან განაცხადა.

„იგივე ხალხი ამბობდა, რომ თუ მიხეილ სააკაშვილს არ გავუშვებდით, ეს იქნებოდა კონსტიტუციის დარღვევა და არ მოგვცემდნენ კანდიდატის სტატუსს. იგივე ხალხი გვეუბნებოდა, რომ თუ სანქციებს არ დავაწესებდით, ეს იქნებოდა კონსტიტუციის დარღვევა და კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემდნენ. ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც ეს არ იყო ქართველი ხალხისთვის სასარგებლო რჩევა – ეს იყო ფაქტობრივად ჩვენი ქვეყნის გაწირვა, ჩვენ ჩვენი ქვეყანა არ გავწირეთ და შესაბამისად კანდიდატის სტატუსი მივიღეთ“...

პაველ ჰერჩინსკი:

ქართველების გადასაწყვეტია, რა კანონები ექნებათ ქვეყანაში!

საქართველო არის თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყანა. ქართველების გადასაწყვეტია, რა კანონები ექნებათ მათ ქვეყანაში, – ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა.

ევროკავშირის ელჩს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, **„ეს კანონი თუ საბოლოოდ მიიღეს, რა შეიძლება ამას მოჰყვეს, საქართველოს ექნება თუ არა ევროკავშირთან მოლაპარაკებების დაწყების შანსი?“**

„როგორც ევროკავშირი, ჩვენ პატივს ვცემთ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნება საქართველოში. თუმცა, როგორც ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა და სხვა ევროპელმა ლიდერებმა განაცხადეს, მიღების შემთხვევაში ეს კანონი არ დაეხმარება საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას“, – აღნიშნა **ჰერჩინსკიმ.**

კითხვაზე, უნდა მოუსმინოს თუ არა საქართველოს მთავრობამ პარტნიორ ქვეყნებს, ევროკავშირის ელჩმა აღნიშნა:

„მე უცხოელი დიპლომატი ვარ. ჩემი როლი არ არის საქართველოს მთავრობისთვის ან ნებისმიერი სხვა პოლიტიკური პარტიისთვის საქართველოში რჩევის მიცემა. ქართველების გადასაწყვეტია, რა მომავალი სურთ თავიანთი ქვეყნისთვის. ჩემი როლია, წარმოვადგინო, რა მნიშვნელობა ექნება საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობას, რა სარგებელს მოუტანს ეს ქართველ ხალხს და ასევე, წარმოვადგინო აქ, საქართველოში მიღებული სხვადასხვა გადაწყვეტილების შედეგები. თუმცა გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული საქართველოში ქართველების მიერ, არა უცხოელების მონაწილეობით. ვფიქრობ, ქართველი ხალხის მრავალი თაობა იბრძოდა ამისთვის, რომ ყოფილიყვნენ სრულად თავისუფლები და გადაწყვეტილებები მიეღოთ თავიანთი მომავლის შესახებ თავად და არა – სხვებს“...

ნასცები 2006 წელს, უფრო გიჟები იყვნენ!

მიხეილ სააკაშვილი: აეროპორტისთვის საფერავის დარქმევა გვინდოდა, მაგრამ მთავრობა ვერ შეთანხმდა რქაწითელსა და საფერავს შორის, ბოლოს ვაგის ძეგლი დავდგით, ბათუმში გავაკეთეთ ჭაჭის შადრევანი

სააკაშვილის თქმით, მთავრობის წევრები ვერ შეთანხმდნენ, რქაწითელი ყოფილიყო თუ საფერავი.

„რუსეთმა ჩვენი ღვინო როდესაც აკრძალა, მომიტანეს მთავრობის დადგენილების პროექტი – მაშინ ახალაშენებული იყო თბილისის აეროპორტი და დაგვერქმია საფერავის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტი. მთავრობის ნაწილმა იჩხუბა, რქაწითელი რითაა ნაკლებიო. მოკლედ, მთავრობა ვერ შეთანხმდა რქაწითელსა და საფერავს შორის. ბოლოს ვაზის ძეგლი დავდგით. მთელი ჭაჭა, რომელიც რუსეთში ვერ გავიტანეთ, შევისყიდეთ, 220 ტონა იყო და ბათუმში გავაკეთეთ ჭაჭის შადრევანი, საიდანაც 18:00 საათამდე უფასოდ მოედინებოდა ჭაჭა. ეს იყო უნიკალური პრეცედენტი. დარაჯი გვყავდა დაყენებული, ბავშვებს რომ არ დაელიათ, სხვა პრობლემა არ იყო“...

გრიგოლ ვაშაძე პარლამენტს „უპატრონოდ“ ტოვებს

ვაშაძის თქმით, პარლამენტში ყოფნას მისთვის არც პოლიტიკური აზრი და არც მორალური გამართლება არ გააჩნია.

„ბევრ დროს არ წაგართმევთ. კანონპროექტის, რომელსაც დასახასიათებლად რა გეოგრაფიული დეფინიციაც არ უნდა მოუნახო რუსეთიდან ზიმბაბვემდე, არსებობას და, მით უმეტეს, მიღებას, არც სამართლებრივი, არც პოლიტიკური, არც მორალური და არც პრაგმატული გამართლება არ აქვს. ეს კანონპროექტი თუ კანონად გადაიქცევა, საბოლოოდ ავტორიტარული რეჟიმის დასამყარებლად იქნება გამოყენებული. დღეს რომ შეწყდეს ამ კანონპროექტის განხილვა, უდიდესი ზიანი ჩვენს ევროპულ პერსპექტივას უკვე მიადგა.

ასეა: როდესაც საკუთარი ანატომიის არასწორი ნაწილით ფიქრობ, შედეგად იღებ სოციალურ დაძაბულობას, დაპირისპირებას მოქალაქესთან, მოკავშირეებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ამ პირობებში პარლამენტში ყოფნას ჩემთვის არც პოლიტიკური აზრი და არც მორალური გამართლება გააჩნია. ვტოვებ პარლამენტს. ქართული საზოგადოების აზრს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ვიტოვებ იმედს, რომ ხელისუფლება უარს იტყვის ამ კანონპროექტის მიღებაზე“...



ᲯᲘᲜ ᲨᲐᲠᲞᲘ

ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲐ

„ᲐᲠᲐᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲙᲘᲐᲕᲔᲚᲘ“

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲚᲐᲒᲐᲠᲫᲧᲐᲕᲐ: „მიუხედავად ტერმინის – „სახელმწიფო გადატრიალება“ - შინაარსის ძალადობრივი ბუნებისა, მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში განხორციელებულ ანალოგიური მოვლენათა მნიშვნელოვანი ნაწილი, ეგრეთ წოდებული, არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდებისა და ხერხების აბსოლუტური სიჭარბით გამოირჩევა.

XXI საუკუნის დასაწყისისათვის, ეგრეთ წოდებული ფერადი, ანუ ხავერდოვანი რევოლუციების მთელი წყება, რომლებიც ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცეში მოხდა, უსისხლოდ, ან თითქმის უსისხლოდ ჩატარდა.

საქართველოში – „ვარდების რევოლუცია“, ყირგიზეთში – „ტიტების რევოლუცია“ და 2010 წლის მოვლენები, არაბეთში – „არაბული გაზაფხული“, 2018 წლის სომხეთის ხავერდოვანი რევოლუცია და მრავალი სხვა სახალხო საპროტესტო მოძრაობა, მნიშვნელოვანწილად, „ხავერდოვანი რევოლუციის“ იდეოლოგის ჯინ შარპის არაძალადობრივი ბრძოლის თეორიის მეთოდების გამოყენებით განახორციელეს.

ჯინ შარპმა მთელი ცხოვრება არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდების შესწავლას მიუძღვნა და ამიტომაც, გარკვეულ წრეებში მას „არაძალადობრივი ბრძოლის მაკიაველსაც“ უწოდებენ.

წინამდებარე პუბლიკაციაში, პირობითი სათაურით – „ხავერდოვანი რევოლუციის ზოგადი ტექნოლოგია“ - მოყვანილია ჯინ შარპის სამი ნაშრომი: „დიქტატურიდან დემოკრატიისაკენ“ („From Dictatorship to Democracy“) „გამათავისუფლებელი ბრძოლა“ („Self-Liberation“), და „არაძალადობრივი მოქმედების 198 მეთოდი“ („198 Methods Of Non Violent Action“).

დროთა განმავლობაში დაგროვილმა მასალამ და შეძენილმა გამოცდილებამ შარპი მიიყვანა დასკვნამდე, რომ მჩაგვრელ სისტემასთან ბრძოლა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და საბოლოო დამარცხებაც კი, ორმხრივი მასობრივი სისხლისღვრის გარეშე, შესაძლებელი იყო.

შარპის ნაშრომები სწორედ ამ დაკვირვების შედეგია. როგორც თავად ამბობს, ისინი სრულყოფილებისგან შორსაა, მაგრამ იმედს გამოთქვამს, რომ ჩაგრულ ხალხს გამათავისუფლებელი მოძრაობის დაგეგმვასა და მის ეფექტურ განხორციელებაში საფუძვლიანად დაეხმარება და მიიჩნევს, რომ „ეს უმნიშვნელოვანესი ცოდნა მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფებისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მისი გავრცელება ადამიანების რაც შეიძლება ფართო წრისთვის უნდა მოხდეს“.

იმედს ვიტოვებ, რომ წინამდებარე პუბლიკაცია თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის – შესაბამისად დემოკრატიისა და თავისუფლების გაძლიერების მხრივ, რაც საბოლოოდ აღკვეთს ხელისუფლებაში რეაქციული რადიკალური ძალების დაბრუნების შესაძლებლობას და ხელს შეუწყობს თითოეული მოქალაქის პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესებას“.

ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲐ

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ განმავლობაში მაღელვებდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ ან დავამარცხოთ დიქტატურა. ეს ნაწილობრივ ეფუძნებოდა იმის რწმენას, რომ არ შეიძლება ადამიანების დათრგუნვა და განადგურება, რაც ამგვარი რეჟიმის დროს ხდება. ამ რწმენას აძლიერებდა წიგნები და სტატიები ადამიანის თავისუფლების მნიშვნელობის, დიქტატურის ბუნების (არისტოტელედან ტოტალიტარიზმის განსაზღვრამდე), დიქტატურის ისტორიის (განსაკუთრებით ნაცისტური და სტალინური) შესახებ.

გავიცანი ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ ნაცისტების მმართველობისას და საკონცენტრაციო ბანაკების გავლაც მოუხდათ. ნორვეგიაში შევხვედრივარ მათ, ვინც იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ და გადარჩა, და გავიგე იმ ადამიანების შესახებ, ვინც დაიღუპნენ ამ ბრძოლაში. მე მისაუბრია იმ ებრაელებთან, რომლებმაც მოახერხეს სიკვდილისაგან თავის დაღწევა, და იმ ადამიანებთან, ვინც მათ გადარჩენაში დაეხმარნენ.

სხვადასხვა ქვეყანაში კომუნისტური მმართველობის შესახებ წიგნების მეშვეობით უფრო მეტი გავიგე, ვიდრე პიროვნული კონტაქტებით. ამგვარი რეჟიმები შემზარავად წარმომიდგა, რადგანაც დიქტატურა თავისუფლების სახელით იქნა დამყარებული.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში უკეთესად გავაცნობიერე პანამაში, პოლონეთში, ჩილეში, ტიბეტსა და ბირმაში თანამედროვე დიქტატურების თავისებურებანი ამ ქვეყნებიდან გამოქცეული ადამიანების მონათხრობების წყალობით. ჩინურ კომუნისტურ აგრესიასთან მებრძოლი ტიბეტელებისაგან, 1991 წელს პუტჩზედ გამარჯვებული რუსებისაგან, ტაილანდელებისაგან, რომლებმაც ძალადობის გარეშე ხელი შეუშალეს სამხედრო მმართველობის დაბრუნებას, დიქტატურის მზაკვრული ბუნების შესახებ უამრავი ახალი და უმძიმესი ინფორმაცია მივიღე.

დიქტატურის სისასტიკე ჩემში ტკივილსა და რისხვას იწვევდა, წარმოუდგენლად მამაცი ქალებისა და კაცების აუღელვებელი გამბედაობა კი აღმაფრთოვანებდა. ამასთან ვსტუმრობდი იმ ადგილებს, სადაც საშიშროება ჯერ არ გამქრალიყო და წინააღმდეგობა გრძელდებოდა. ვიყავი პანამაში ნორიეგას მმართველობისას; ვილნიუსში – საბჭოთა რეპრესიებისას; ტიანანმენის მოედანზე, პეკინში – დემონსტრაციის დროსაც და იმ საშინელ ღამესაც, როდესაც მოედანზე ჯავშანტექნიკა გამოჩნდა და „თავისუფალი ბირმის“ მეინერპლაუს ჯუნგლებშიც, სადაც დემოკრატიული ოპოზიციის შტაბი იყო განთავსებული.

ვიყავი იქაც, სადაც დაიღუპა ხალხი - ვილნიუსის ტელეანძასთან და სასაფლაოზე, რიგის პარკში, ფერარაში (ჩრდილოეთ იტალია), სადაც ფაშისტებმა წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები მწყობრში ჩააყენეს და დახვრიტეს, ვნახე ახალგაზრდა ადამიანების სასაფლაოები



მეინერპლაუში (ბირმა). მტკივნეულია იმაზე ფიქრი, რომ ნებისმიერი დიქტატურა უამრავ მსხვერპლსა და ნანგრევს ტოვებს.

დროთა განმავლობაში შეძენილმა ცოდნამ და გამოცდილებამ წარმოშვა მყარი იმედი, რომ ტირანიის შემოტევის აცილება შესაძლებელია. შეიძლება მასთან ბრძოლა ორმხრივი მასობრივი სისხლისღვრის გარეშე, შეიძლება მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ისე დამარცხებაც კი, რომ ფერფლისგან ვერასდროს აღდგეს.

შევეცადე მომეძებნა დიქტატურის დამხობის ყველაზე ეფექტური გზები, რომლებსაც მხოლოდ მინიმალური ტანჯვა და მსხვერპლი მოჰყვებოდა. ამასთან ვსარგებლობდი იმ ცოდნით, რაც დიქტატურის, წინააღმდეგობის მოძრაობებისა და რევოლუციების მრავალწლიანმა შესწავლამ, პოლიტიკური აზრის, მმართველობის სისტემებისა და განსაკუთრებით, სავსებით რეალური, არაძალადობრივი ბრძოლის გამოკვლევამ შემძინა.

ეს წიგნი სწორედ ამ შრომის შედეგია. რა თქმა უნდა, იგი სრულყოფილებისგან შორსაა, მაგრამ იმედია, ჩაგრულ ხალხს დახმარებას გაუწევს გამათავისუფლებელი მოძრაობის დაგეგმვასა და მის ეფექტურ განხორციელებაში.

აუცილებლობის გამო მთავარ ყურადღებას შეგნებულად ვუთმობ საერთო მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაინგრეს დიქტატურა და არ იქნას დაშვებული ახლის წარმოქმნა. მე არ ვარ კომპეტენტური გავაკეთო დეტალური ანალიზი და არ ვიძლევი რეცეპტს რომელიმე განსაზღვრული ქვეყნისათვის, თუმცა იმედი მაქვს, რომ ეს კვლევა დაეხმარება იმ ხალხს, ვინც დიქტატორულ რეჟიმს ღიად დაუპირისპირდება. ისინი თავად გადაწყვეტენ, შესაძლებელია თუ არა ამ ცოდნის გამოყენება მათი მდგომარეობისთვის და რამდენად გამოდგება მისი ძირითადი რეკომენდაციები თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დაბოლოს, მე მადლიერებას გამოვთქვამ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მეხმარებოდნენ ამ შრომაში. ბრიუს ჯენკინსმა, ჩემმა თანაშემწემ, ძალიან ბევრი იშრომა პრობლემების ფორმებისა და შინაარსის დაზუსტებისას. გარდა იმისა, იგი მუდმივად მირჩევდა ნათლად წარმომეჩინა რთული იდეები (განსაკუთრებით ისინი, რომლებიც სტრატეგიას ეხება), მეხმარებოდა მასალის სტრუქტურის შეცვლაში და ახდენდა ტექსტის რედაქტირებას. რედაქტირებისთვის მადლობას ვუხდი სტივენ კოუდისაც, ხოლო დოქტორ ქრისტოფერსა და რობერტ ჰელვეის – მნიშვნელოვანი შენიშვნებისთვისა და რჩევებისათვის. დოქტორ ჰეიზელ მაკფერსონმა და დოქტორ პატრიცია პარკმენმა მომაწოდეს მონაცემები აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში წინააღმდეგობის მოძრაობის შესახებ. ამგვარი გულუხვი დახმარების შედეგად მოცემულმა ნაშრომმა ძალიან ბევრი რამ შეიძინა. ხოლო პასუხისმგებლობას ანალიზსა და დასკვნებზე საკუთარ თავზე ვიღებ.

მე არსად ვამტკიცებ, რომ დიქტატურასთან ბრძოლა იოლი და უწყინარია. ნებისმიერი ბრძოლის ფორმა გართულებასა და დანაკარგს ითვალისწინებს. ბუნებრივია, რომ დიქტატორთან დაპირისპირება მსხვერპლს მოითხოვს. თუმცა იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი ანალიზი წინააღმდეგობის ლიდერებს ბრძოლის ეფექტურობის გაზრდისა და დანაკარგების შემცირების სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება.

გარდა ამისა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ კონკრეტული დიქტატურის დამხობის შემდეგ სხვა დანარჩენი პრობლემაც გაქრება. რეჟიმის დამხობას უტოპია არ მოჰყავს, იგი გზას თავდადებული შრომისთვის ხსნის. იმისათვის, რომ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები სამართლიანი გახდეს, და უსამართლობის სხვა სახეები თანდათანობით აღმოიფხვრას, ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო. იმედი მაქვს, რომ იმ გზების მოკლე ანალიზი, რომლებსაც დიქტატურის რღვევამდე მივყავართ, ხალხისთვის, ვინც დიქტატურის წნეხის ქვეშ ცხოვრობს და თავისუფლებისაკენ მიისწრაფის, სასარგებლო აღმოჩნდება.

ᲯᲘᲜ ᲨᲐᲠᲞᲘ,
6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 1993 Წ.
ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ, ᲛᲐᲡᲐᲩᲣᲡᲔᲢᲡᲘ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

„ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ“
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, 2003 ᲬᲔᲚᲘ

„ᲢᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ“
ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘ, 2010 ᲬᲔᲚᲘ

„ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ“
ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ, 2018 ᲬᲔᲚᲘ

„საზოგადოება ქართულის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ფოლკლორის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე, იურისტი გიორგი გაბუნია

არ მოვწყდეთ ჩვენს სულიერებასა და ტრადიციებს!

მიმართვა ქართველ საზოგადოებას

როგორც ვიუწყებოდით, 14 აპრილს, დედაენის დღეს, დაფუძნდა აკადემიური, ერის გამაერთიანებელი აზრისა და სიტყვის დამამკვიდრებელი არაპოლიტიკური, ორგანიზაცია „საზოგადოება ქართული“. დღეს გთავაზობთ ამ აპოლიტიკური ორგანიზაციის მიმართვას ქართველი საზოგადოებისადმი.

ქართული ენის ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულზე გვსურს გაცნოგოთ ახალი ორგანიზაციის დაფუძნების თაობაზე, სახელწოდებით – „საზოგადოება ქართული“ სადაც ვიწვევთ მეცნიერების, ხელოვნების, სპორტისა და განათლების სფეროს სხვადასხვა თაოგის წარმომადგენლებს.

ჩვენ ასევე მივმართავთ თანამშრომლობისთვის საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, ყველა მეგობარსა და კოლეგას.

ჩვენი ორგანიზაციის დაფუძნებით გვსურს გამოვხატოთ მზაობა, რათა საზოგადოებაში დავამკვიდროთ:

– აკადემიური აზრი და სიტყვა;

– რაციონალური ფიქრი და განსჯა ჩვენს წარსულზე, დღევანდელობასა და მომავალზე;

– ურთიერთპატივისცემა, სიყვარული და ერთიანობა, რომელიც დღეს ძალიან ჭირდება ჩვენს საზოგადოებას.

ჩვენ კარგად გვესმის და ვხედავთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების პარალელურად, ადგილი აქვს ღირებულებათა ომს, რაც დიდი საფრთხის წინაშე აყენებს ჩვენს ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს. შედეგად, რამდენიმე ათწლეულია, მუდმივ რყევას განიცდის ჩვენი საზოგადოება, ჩვენი კულტურა და სახელმწიფო.

ზემოაღნიშნული საფრთხეების გათვალისწინებით გვწამს და მიგვაჩნია, რომ ქართული საზოგადოება მაქსიმალურად უნდა კონცენტრირდეს სოლიდარობაზე, ტოლერანტობაზე, თანასწორობაზე, მიმტევებლობაზე, ქალისადმი პატივისცემასა და უფროსის დაფასებაზე, ოჯახის და ადამიანის სიყვარულზე დაფუძნებულ ქართულ ცნობიერებასა და კულტურაზე.

ჩვენ, როგორც უძველესი ცივილიზაციის ერი, შთამომავალნი იმ დიდი ქართველებისა, რომელთა შემოქმედებამ საკაცობრიო სულიერი საგანძური გაამდიდრა და საყოველთაო ფასეულობები შექმნა, ვალდებულნი ვართ, შევინარჩუნოთ და ღირსეულად დავიცვათ მათი დანატოვარი მემკვიდრეობა – ჩვენი კულტურა და ტრადიციები, არ ვუღალატოთ ჩვენი თვითმყოფადობისა და იდენტობის მთავარ საფუძვლებს, ჩვენს საზრისსა და მიზნებს, იმ ფასეულობებს რისთვისაც 2000 წელზე მეტია იბრძვის ჩვენი მცირერიცხოვანი, მრავალჭირნახული და განსაკუთრებული ერი.

შესაბამისად, ჩვენი ერის წინაშე კვლავ დგას მთავარი ამოცანა – თანამედროვე, გლობალური ქარტეხილების ეპოქაში, დავიცვათ ჩვენი ერის თვითმყოფადობა, განვავითაროთ ჩვენი მეცნიერება, კულტურა, სპორტი და დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტი.

ამიტომ, ჩვენ, ვინც ვემსახურებით ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტებს : ქართულ მეცნიერებას, ხელოვნებასა და განათლებას, სპორტს, სხვა დარგებს, ვერთიანდებით ერთი მიზნით, რომ ჩვენი სულიერების განმსაზღვრელი ეს ფენომენები თაობათა ერთიანობისა და მემკვიდრეობითობის ბერკეტებად იქცნენ.

აქედან გამომდინარე ჩვენ ვითხოვთ:

ა) სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების პოლიტიკის მეტად აქტიურად წარმართვას, ენის სიწმინდის დაცვას, მათ შორის, ჩვენი ეროვნული საგანძურის – მეგრულ-ლაზური და სვანური ენების მოვლა-პატრონობას და საკანონმდებლო დონეზე ამ ენათა დაცვის მექანიზმების შექმნას.

ბ) სკოლებში ქართული ტრადიციული ხელოვნების შეტანა და მის ხელმისაწვდომობას ჩვენი ახალგაზრდებისთვის.

გ) ვითხოვთ, სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დემოგრაფიულ პრობლემებს, რომელიც სულ უფრო მზარდი ხდება და საფრთხეს უქმნის ჩვენი ერის მომავალს.

დ) სახელმწიფომ მეტი მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინოს ოჯახის (განსაკუთრებით ახლადშექმილი ოჯახების) სათანადო მხადაჭერასა და დაცვაზე, განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭოს მრავალშვილიანი ოჯახის გაძლიერებას. ამ მიმართულებით „საზოგადოება ქართული“ უახლოეს მომავალში წარადგენს საკუთარ წინადადებებს.

ე) ვითხოვთ სახელმწიფომ იზრუნოს და შექმნას სათანადო პირობები, რათა ემიგრაციაში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, დაინტერესდნენ სამშობლოში დაბრუნებით და მათი ეს უზარმაზარი ინტელექტუალური თუ სხვა სახის რესურსები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

ჩვენ ასევე მივიჩნევთ, რომ:

მიზეზთა გამო, დღემდე საზოგადოებრივი პროცესებისგან გარკვეულად დისტანცირებული ერის ინტელექტუალური, განათლებული და კულტურული ნაწილი უნდა დაუბრუნდეს არენას და აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გახდეს ქვეყანაში სტაბილურობისა და განვითარების მძლავრი საზოგადოებრივი აზრის წყარო.

ვითხოვთ, გამახვილდეს ყურადღება და ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით გადაიხედოს დღეს არსებული, კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ცილისწამებასა და სიძულვილის ენის გამოყენებაზე, რომელიც ყველას ეხება, განსაკუთრებული სიმძაფრით კი გამოიყენება საქართველოს პატრიარქისა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, რომლის დამსახურება ქართველი ერის წინაშე აუწონელია და იგი ჩვენი კულტურისა და იდენტობის განუყოფელი ნაწილია.

ასევე ვთვლით, რომ საჭიროა ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლების მეტი ინტეგრაცია და ჩართულობა კულტურულ პროცესებში, მსოფლიოს კულტურული მიღწევებისადმი ხელმისაწვდომობა და ქართული კულტურის კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაცია.

„საზოგადოება ქართულის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი

ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევისთვის აუცილებლად მიგვაჩნია:

1. საკანონმდებლო წინადადებების (ინიციატივების) მომზადება პრობლემად ქცეულ საკითხებთან დაკავშირებით და მათი რეალიზაციის მიზნით სახელმწიფო ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობა.

2. ქართველი საზოგადოების მონაწილეობის გააქტიურება ერისა და ქვეყნისთვის საჭირბოროტო ყველა საკითხის გადაწყვეტაში, ქვეყანაში სარეფერენდუმო (საპეტიციო) დემოკრატიული სისტემის დამკვიდრება.

და ბოლოს, ჩვენ ისე უნდა გავხდეთ თანამედროვე ევროპული სახელმწიფო, ერი და საზოგადოება, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს სულიერებასა და ტრადიციებს. ეს გზა კი ჩვენს კულტურასა და ხელოვნებაზე გადის, რომელიც ერის არჩევანის თვითმყოფადობისა და იდენტობის განმსაზღვრელი უნივერსალური ფენომენია. ყველას მოგიწოდებთ, გავერთიანდეთ, რათა ჩვენი შრომით, სოლიდარობით, თანამშრომლობით, ადამიანზე, კულტურასა და გარემოზე ზრუნვით საქართველო ვმართოთ ჩვენ თვითონ!...

„ქართველის“ სხდომათა დარბაზში

„ქართველის“ თანადამფუძნებლები, (შუაში) – სვიმონ ჯანგულაშვილი, მარინა ლობჟანიძე

კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდია

„ღირსების სასამართლო“, როგორც დისიდენტობის პერიოდის ანგარიშების არასაჭირო და დამაზიანებელი წამოწევა

„ღირსების სასამართლოს“ სახელით წოდებული ფირი პირველად საქართველოს სსრ-ის ტელევიზიით 1989 წელს გავიდა, თუმცა მას იმ მიზნისთვის ნამდვილად არ მიუღწევია, რა მიზნითაც სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადმა ტელევიზიამ გაუშვა – მიზანი კი ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაცია იყო. იგი განმეორებით 2015 წლის 15 მარტსაც აიტვირთა ინტერნეტსივრცეში. რამდენადაც ადამიანებმა არი იციან ამ „სასამართლოს“ მოწყობის რეალური ფონი და კონტექსტი, შევეცდებით, მოვახდინოთ მოვლენებისა და ფაქტების რეკონსტრუქცია, რათა ისინი მიმდევრობით დალაგდეს და ხდომილებებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი დადგინდეს.

მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე

დადგა 1989 წელი, ჩაიარა ახალმა წლებმა და 9 იანვარს ეს შეხვედრაც შედგა. ეს ვიღაცეებისთვის იყო „შიდა გარჩევა“, ხოლო სხვებისთვის – „ღირსების სასამართლო“. წიგნში უკვე იყო მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რითი ახსნა თამარ ჩხეიძემ თავისი უარი ზვიად გამსახურდიასთან თანამშრომლობაზე, როდესაც „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ დაფუძნდა, ზვიად გამსახურდია კი მის დამფუძნებელ კონფერენციაზე საერთოდ არ მოიწვიეს. ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო: **„ზვიად გამსახურდია თავის მონანიებას ღირსეულ საქციელად თვლიდა და სხვებისგანაც მოითხოვდა მისთვის ეს დაედასტურებინათ“.** ამ ბრალდების აბსურდულობას ზემოთ პასუხი გაეცა და კიდევ ერთხელ ამაზე აღარ შევჩერდებით.

მომდევნო, 1988 წელს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ გამოცემა „ივერიაში“ (1988 წლის №8) გამოქვეყნდა ანონიმური პასკვილი სათაურით: **„ზოგჯერ თქმა სჯობს“.** მასში განიხილებოდა ამერიკელი ჟურნალისტების, ჰაროლდ პაიპერისა და კრეგ იუტნისთვის, მოსკოვში მოწყობილი სასამართლო პროცესის ამბავი. ამ ჟურნალისტებმა დაწერეს, რომ ზვიად გამსახურდიას მონანიება სინამდვილეში ფაბრიცირებული იყო, რის გამოც მათ სასამართლოში უჩივლა სსრკ-ის ცენტრალურმა ტელევიზიამ. პატიმრობაში მყოფი ზვიად გამსახურდია მოსკოვში გამართულ ამ პროცესზე მოწმედ გამოიყვანეს. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ჟურნალში“ 1988 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში კი ეწერა, თითქოს ზვიადის ტაქტიკური უკან დახევა შევარდნაძისა და უშიშროების კომიტეტის გამარჯვება იყო. იქვე უნდობლობა გამოეცხადა მერაბ კოსტავას ტექსტს ზვიადის მონანიებასთან დაკავშირებით, რომელიც 1987 წელს ჟურნალ „გლასნოსტში“ გამოქვეყნდა. მერაბი მასში წერდა, რომ ყველაფერი ერთმანეთთან შევათანხმეთ, ამ გზით ზვიადი გარეთ გამოვიდოდაო. ტაქტიკური მანევრი, რომლითაც ზვიად გამსახურდიამ თავიდან აირიდა ქვეყნიდან გაძევება, აღნიშნული სტატიის ანონიმი ავტორების მიერ გამოცხადებული იყო სამარცხვინო კომპრომისად და, სტატიის ქვეტექსტიდან თუ გამოვალთ, იგი ამ პოზიციას (ანუ საბჭოთა ხელისუფლებისადმი, თითქოს, კომპრომისულს) შემდგომშიც აგრძელებდა.

წერილში საუბარი იყო იმაზეც, თითქოს ზვიად გამსახურდია სისტემატურად ეწეოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა“ და მისი ლიდერების დისკრედიტაციას, მათ აცხადებდა რა სუკ-ისა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გავლენის გამტარებლად (ეს ბრალდება იყო კონკრეტული წერილის ან დაბეჭდილი მასალის მითითების გარეშე, კ. გ.) და ეს არა მარტო საქართველოს მასშტაბით: სტატიის მიხედვით, აღნიშნული დამაზიანებელი ინფორმაციები „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ შესახებ მოსკოვში, გოგოლის ბულვარზეც გაუხმოვანებია საქართველოდან ჩასულ პირს, სადაც რუსი დისიდენტები იკრიბებოდნენ. ვინ იყო ეს პირი, სტატიაში დასახელებული არ არის, მხოლოდ აღნიშნულია, რომ მას გოგოლის ბულვარი დაატოვებინეს, სტატიის მიხედვით, იგი, როგორც ჩანს, თბილისიდან სპეციალურად იყო ამ საქმისთვის მივლინებული. რაც მთავარია, ზვიად გამსახურდიასა და მის მეუღლეს, მანანა არჩვაძეს, სტატიის მიხედვით, შეუთვლიათ საფრანგეთში 1988 წელს ემიგრირებული ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილის შესახებ, რომელიც 1983-1987 წლებში პატიმრობაში იმყოფებოდა პარტია „სეგო“-ს („საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“, კ. გ.) დაფუძნების გამო, თითქოს ის სუკ-ის აგენტია და მოერიდეთო. რამდენადაც ცნობილია, ჯონი ლაშქარაშვილი პოლიტიკურად და ადამიანურად ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ლიდერებთან, თამარ ჩხეიძესთან და ზურაბ ჭავჭავაძესთან.

ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილი, თამარ ჩხეიძე და მერაბ კოსტავა.

სტატიის ანონიმურ ავტორებს (სავარაუდოდ, სტატია თამარ ჩხეიძემ და ზურაბ ჭავჭავაძემ ერთად დაწერეს) იქითკენ მიჰყავთ მსჯელობა, თითქოს ზვიად გამსახურდია უშიშროების კომიტეტის მიერ მართულ ფიგურად რჩებოდა შემდგომშიც. ამ წერილზე მიბმული იყო თავად ზვიად გამსახურდიას წერილი „გამოვედი თუ არა მე ცენტრალური ტელევიზიით 1978 წლის მაისში“. აღნიშნულ წერილს კი ახლდა სარედაქციო კომენტარი იქედნური ტონით, ისევ კონკრეტული ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მითითების გარეშე.

რაზეა ეს წერილი? მასში ზვიად გამსახურდია ცდილობს განმარტოს, რა მოინანია ტაქტიკური მოსაზრებით და რა – არა; რომ მისი მხრიდან მოუნანიებლობის შემთხვევაში ეროვნულ საქმეს საფრთხე ემუქრებოდა; რომ მერაბ კოსტავამ მოიწონა მოჩვენებითი უკან დახევის გეგმა. ხოლო ფრაგმენტი ამ ვიდეოჩანაწერისა „ვრემიას“ პროგრამით უჩვენეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით, მისი ნებართვის გარეშე, ვითომდაც ეს იყო „ტელეინტერვიუ“ სასამართლოს შემდეგ. კომენტარში ისმის კითხვები, რომლებზეც სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიამ ბევრჯერ გასცა პასუხი მაშინაც და მოგვიანებითაც: სტატიის ავტორები ზვიად გამსახურდიას არაკეთილსინდისიერებასა და წარმოჩენილი ფაქტების სუბიექტურ ინტერპრეტაციაში ადანაშაულებენ. მათი თვალსაზრისით, ეს „მონანიება“ ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე იყო და მისი გამართლება „ტაქტიკური უკან დახევით“ მიუღებელიაო. ჩვენც მივუტევებდით, მაგრამ იმიტომ ვერ მივუტევებთ, რომ ზვიად გამსახურდია წლების განმავლობაში ჩირქს სცხებს ყველა იმ ადამიანს, ვინც საქართველოში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობსო, მათ ხან სუკ-ის მაიორს, ხანაც ამავე ორგანიზაციის პოლკოვნიკს უწოდებსო. იქვე წერენ, რომ ზვიად გამსახურდიამ უშიშროების აგენტებად გამოაცხადა აკაკი ბაქრაძე, ჯანრი კაშია და ილია მეორე. რასაკვირველია, აქაც ზეპირ „გამოცხადებაზეა“ საუბარი, აუდიოჩანაწერი, ტექსტი ან სტატია, სადაც „გამოცხადდა“, ავტორებს არ მოჰყავთ.

როგორც ამ სტრიქონების ავტორს, ძალიან კარგად მახსოვს: ზვიადმა ერთხელ, ეს იყო 1986 წელს, მითხრა: მონანიება თამარ ჩხეიძესაც დააწერინეს და გია ჭანტურიასაც, მაგრამ ეს არ გაახმაურეს და არც

ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილი, თამარ ჩხეიძე და მერაბ კოსტავა.

ში პატიმრობაში იმყოფებოდა პარტია „სეგო“-ს („საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“, კ. გ.) დაფუძნების გამო, თითქოს ის სუკ-ის აგენტია და მოერიდეთო. რამდენადაც ცნობილია, ჯონი ლაშქარაშვილი პოლიტიკურად და ადამიანურად ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ლიდერებთან, თამარ ჩხეიძესთან და ზურაბ ჭავჭავაძესთან.

სტატიის ანონიმურ ავტორებს (სავარაუდოდ, სტატია თამარ ჩხეიძემ და ზურაბ ჭავჭავაძემ ერთად დაწერეს) იქითკენ მიჰყავთ მსჯელობა, თითქოს ზვიად გამსახურდია უშიშროების კომიტეტის მიერ მართულ ფიგურად რჩებოდა შემდგომშიც. ამ წერილზე მიბმული იყო თავად ზვიად გამსახურდიას წერილი „გამოვედი თუ არა მე ცენტრალური ტელევიზიით 1978 წლის მაისში“. აღნიშნულ წერილს კი ახლდა სარედაქციო კომენტარი იქედნური ტონით, ისევ კონკრეტული ავტორის ან ავტორთა ჯგუფის მითითების გარეშე.

რაზეა ეს წერილი? მასში ზვიად გამსახურდია ცდილობს განმარტოს, რა მოინანია ტაქტიკური მოსაზრებით და რა – არა; რომ მისი მხრიდან მოუნანიებლობის შემთხვევაში ეროვნულ საქმეს საფრთხე ემუქრებოდა; რომ მერაბ კოსტავამ მოიწონა მოჩვენებითი უკან დახევის გეგმა. ხოლო ფრაგმენტი ამ ვიდეოჩანაწერისა „ვრემიას“ პროგრამით უჩვენეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი სახით, მისი ნებართვის გარეშე, ვითომდაც ეს იყო „ტელეინტერვიუ“ სასამართლოს სპეცდავალებით გამოშვებულ პირებს წამოაძახებინეს მათთვის, რამდენადაც მათი მორალური განადგურება მიზნად დასახული არ ჰქონდათო. პარადოქსია, რომ ორივენი (თამარი უფრო ადრე, გია კი – მოგვიანებით) ზვიადის კომპრომეტაციისთვის ერთ-ერთ პუნქტად სწორედ „მონანიების“ თემას იყენებდნენ.

ამავე სტატიაში ზვიად გამსახურდიას ბრალად ედება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ განხეთქილების შეტანა იმით, რომ გამგეობის ორი წევრი გადაიბირა (ავტორები გულისხმობდნენ გიორგი ჭანტურიასა და ვანო ხუხუნაიშვილს, თავდაპირველად, 1987 წლის გამგეობის წევრებს, კ. გ.). ოფიციოზი კი თვალთმაქცურად ცდილობს, წამებულის შარავანდედით შემოსოს იგი და ხალხის თვალში ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლად წარმოაჩინოსო. ხელისუფლება ხშირად ლანძღავს გამსახურდიას და ამით რეკლამას უკეთებსო. ბოლოს დასმულია კითხვა: ეს ყოველივე იმიტომ ხომ არ ხდება, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობა ყალბი გზით წარიმართოსო?

ზვიად გამსახურდიას 1988 წლის ოპონენტების ეს სტატია, კაცმა რომ თქვას, დიდად არ განსხვავდებოდა ოფიციოზის მიერ ზვიადის მისამართით გადმოსხმული ტალახისგან. იგი ყვითელი პრესის ვიღაცის გასაშავებელ სკანდალურ სტატიასაც ჰგავდა, სადაც არასოდეს წყაროებს არ უთითებდნენ და ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობოდნენ. ან სად წაიკითხეს ავტორებმა თითქოს თავის „ტაქტიკურ მანევრს“ ზვიად გამსახურდია გმირულ საქციელად თვლიდა? ამის გამო 1989 წლის 9 იანვარს შედარებით დახურულ ფორმატში, კერძოდ, „არაფორმალური“ მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტის, კოკა გაწერელიას, კერძო ბინაში დაინიშნა „ღირსების სასამართლო“. ამ სასამართლოზე მოსარჩლის როლში იყვნენ ზვიად გამსახურდია, ასევე „წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა“ და „IV დასის“ ლიდერები – **გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი** და სხვები, მეორე მხარეზე კი „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ლიდერები, **თამარ ჩხეიძე** და **ზურაბ ჭავჭავაძე,** ასევე, ჟურნალ „ივერიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები. შეკრებას ესწრებოდა აფხაზეთის ეროვნული მოძრაობის ორი აქტივისტი, ასევე „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დარბაზის“ მიერ გამოგზავნილი რამდენიმე პირი, მათ შორის, **აპაკი ბაქრაძე, ჯაბა იოსელიანი** და სხვები. ღირსების სასამართლოს არ დაესწრო მერაბ კოსტავა, რამდენადაც იგი მოწინააღმდეგე იყო ასეთი ფორმატისა. ამ სასამართლოს აქტორები საკმაოდ ტემპერამენტიანი ადამიანები არიან და ამიტომაც მძიმე ურთიერთბრალდებები და საუბარი შეურაცხმყოფელ ტონალობაში გადავა. საქმე მაინც არ გაირკვევა, მხარეები კი ერთმანეთს უფრო მეტად დაშორდებიან, – იყო მისი პოზიცია.

სასამართლოს დაწყებისთანავე ზვიად გამსახურდიას წაუყენეს ბრალდება. თითქოს **ზაქარია (ჯონი) ლაშქარაშვილი** საფრანგეთიდან ადასტურებდა ზვიად გამსახურდიასა და მისი მეუღლის შენათვალს მის (ანუ ჯონის) აგენტობაზე, როდესაც ზვიად გამსახურდიამ მოითხოვა წყარო და დოკუმენტი, აღმოჩნდა, რომ მეორე მხარეს ის არ გაჩნდა. მაშინ **ზურაბ ჭავჭავაძემ** მოწმეებს მოუხმო. სოხუმელმა ბორის კაკუბავამ, რომელიც ლაშქარაშვილის მსგავსად „უძრაობის ეპოქაში“ პოლიტპატიმარი იყო, ამ „სასამართლოზე“ განაცხადა, დიახ, გამსახურდიამ ერთხელ მითხრა, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“ სუკ-ი მართავსო. ამას ზვიად გამსახურდიას მხრიდან ირონიული შენიშვნა მოჰყვა მელასა და მოწმედ მოყვანილ მისსავე კუდზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზვიად გამსახურდიას დიდი წვლილი მიუძღვის ზაქარია ლაშქარაშვილისა და ბორის კაკუბავას პოლიტპატიმრებად აღიარებისა და დაცვის საკითხში საერთაშორისო უფლებადაცვით სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე. ბედის ირონიაა, რომ სწორედ ასეთი ადამიანები დაადგნენ მას პირზე. „ნებლაგადარნი პიოს“ (უმადური ძაღლი), – ჩაილაპარაკა გიორგი ჭანტურიამ კაკუბავას მისამართით.

დასასრული, დასაწყისი №42-44

ინგუშეთში 60-მდე ქართული წარმოშობის ძეგლია (საილუსტრაციო ფოტო).

როდის და როგორ წერდა კავკასიელი ხალხი ქართული ანბანით

ინგუშები, ჩეჩნები, დაღესტნელები – XV საუკუნემდე, სანამ ჩრდილოკავკასიაში ისლამი გავრცელდებოდა, ქართული ანბანით წერდნენ. ჩრდილოკავკასიის მთებში დღემდე პოულობენ არტეფაქტებს, რომლებზეც წარწერები ადგილობრივ ენაზე ასომთავრულით ან ხუცურით არის შესრულები.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, ქართველების მსგავსად, არქაული ეპოქიდან მოდიან. კავკასიოლოგი მერაბ ჩუხუა ამბობს, რომ კავკასიაში სამი დამწერლობა იყო გავრცელებული: ქართული, სომხური და ალბანური.

— — — — — — — — — —

„ასეთ მცირე რეგიონში სამი ანბანის აღმოჩენა ნიშნავს, რომ ეს ადგილი ცივილიზაციის კერაა. ცნობილი გამოთქმა – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე – ქართული დამწერლობის გავრცელების არეალია. ნიკოფსია არის იგივე ჯიქეთი ანუ ჩერქეზეთი, მას მოსდევს დურძუკეთი და შემდეგ დაღესტანი“, – ამბობს **მერაბ ჩუხუა.**

ქართული ანბანის პოპულარიზაციას განსაკუთრებული ბიძგი ქრისტიანობის გავრცელებამ მისცა. თბილისის ინგუშური კულტურის ცენტრის დირექტორი მარიამ ბეჟიტაშვილი ამბობს, რომ ჩრდილოკავკასიაში ქართული ენა და დამწერლობა მერვე-მეცხრე საუკუნეებიდან ვრცელდება, კიდევ უფრო მეტად – მეათედან, ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდიდან. ინგუშეთში 60-მდე ქართული წარმოშობის ძეგლია.

„ტყობა-ერდისა და თარგიმის ინგუშური ტაძრების ასომთავრული და ხუცური ანბანით აღბეჭდილი ეპიგრაფიკა, ისევე, როგორც მაგი-ერდის საყდარში ხელნაწერი ქართული ფსალმუნის მიკვლევა თვალსაჩინოს ხდის იმ ფაქტს, რომ ინგუშეთის შუა საუკუნეების ლიტურგიკაში რეალურად გამოიყენებოდა ქართული საეკლესიო ენა თავისი დამწერლობითა და აღმსრულებლებით – სამღვდელოებით“, – ჰყვება **მარიამ ბეჟიტაშვილი.**

ქართული დამწერლობის ნიმუშები ყველაზე უხვად დაღესტანმა შემოინახა – ასზე მეტი კირქვის მხოლოდ ქვა-ჯვარი! მათგან ზოგი ქრისტიანულ სასაფლაოზეა მიკვლეული, ზოგი – მუსულმანურზე. ეპიტაფიები ხან ქართული ასოებით ქართულ ენაზეა დაწერილი, ხანაც ქართული ასოებით ადგილობრივ ენაზე, მაგალითად, ხუნძურად.



ჩრდილოკავკასიაში ნაპოვნი ასომთავრულით შესრულებული წარწერა

„დაღესტნის ტერიტორიაზე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა, მეტიც, მონღოლებისგან კავკასიის თავდასხნის შემდეგაც (XIV ს.) მთიან დაღესტანში საქართველოს ეკლესიის 3 საეპისკოპოსო ფუნქციონირებდა: ხუნძახის, ანწუხისა და წახურის, ხოლო XV საუკუნეში საქართველოს ეკლესიას ხუნძეთში უკვე საკათალიკოსოც ჰქონდა დაარსებული. სხვადასხვა დროს საქართველოს ეკლესიის ეპარქიები ფუნქციონირებდა დურძუკეთშიც (ინგუშეთი)“, – ჰყვება **მარიამ ბეჟიტაშვილი,** – „**ხუნძახში რამდენიმე რაიონი ქრისტიანი დაღესტნელებით იყო დასახლებული და დღემდე იქ მცხოვრებლებს გურჯიხვს უწოდებენ,** არა მათი ეთნოსის, არამედ სარწმუნოების გამო“.

მარიამ ბეჟიტაშვილი ამბობს, რომ ჩრდილოკავკასიაში შემორჩენილი ქართული დამწერლობის ნიმუშები ხანდახან ბილინგვურია, გარდამავალი-შერეული ანბანით შესრულებული, მაგალითად, 1924 წელს, დაღესტანში აღმოაჩინეს ჯვარი, რომელსაც ქართულ და ხუნძურ ენებზე ქართული ანბანით აწერია: „ქრისტე შეიწყალე თეოდორე, წმიდაო თეოდორე, წმიდაო სარკელი, წობოეგ ი ბოტბ ჩაჰლტა რა... ვ ჩჰე სიტა, ამინ, უფალო ღმერთო ჩუენო, გაბრიელი დაიცუენ“.

„ქართული იმდენად იყო გავრცელებული, რომ XIII-XIV საუკუნეში ერთმა ყადმა დაღესტანში ბრძანებაც კი გამოსცა, ქართულის სწავლება აკრძალეთო.

დაღესტანში ასეთი გამოთქმაა: „ჩვენი წინაპრები ქართველები ყოფილან“. რა თქმა უნდა, დაღესტნელების წინაპრები ქართველები არ არიან, დაღესტნელები ერთ-ერთი ყველაზე არქაული ხალხია მთელ მსოფლიოში, მაგრამ რადგანაც ქრისტიანობა ქართველებიდან შევიდა, როგორც ჩვენთან კათოლიკეებს ეძახდნენ ფრანგებს, ისე ქრისტიან დაღესტნელებს ქართველებს ეძახდნენ. სოფელ ხუნძახის განაპირა ადგილას ქრისტიანები ცხოვრობდნენ და იმ ადგილს ქართველების დასახლებას უწოდებდნენ. იქ ე.წ. დათუნას ეკლესიაც იყო, სადაც ისევე ცხვებოდა სეფისკვერი, როგორც დანარჩენ საქართველოში“, – ამბობს **მერაბ ჩუხუა.**

ის ჰყვება, რომ ჩერქეზულად ქართველებს რამდენიმე სახელი აქვთ, ერთ-ერთი არის „ხუც“, რაც სიტყვა „ხუცურიდან“ მოდის. – „**რადგაც ჩერქეზეთში ქართველები ავრცელებდნენ ხუცურს, გამავრცელებლებს „ხუც“ შეერქვათ. გიორგი ჭყონდიდელი ცხოვრების ბოლოს, 12 წელი ჩრდილოეთ კავკასიაში მოღვაწეობდა და ამის შედეგი ჩანს იმ ქრისტიანულ კერებში, რომლებიც დღემდე ეკლესია-მონასტრების სახით შემორჩა დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ჩერქეზეთში, ოსეთში. ეს არის პირწმინდად ქართულ-კავკასიური ძეგლები, ერთად აშენებდნენ“.**

ბორის ხარსიევი, ინგუშეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი რადიო თავისუფლებასთან საუბარში ჰყვება, რომ ასომთავრული კავკასიაში მონღოლების შემოსვლის შემდეგაც არსებობდა. ამის დასტური ძველ ნამარხებში აღმოჩენილი ჭურჭელია, რომლებსაც ქართული წარწერები აქვს.

„საეკლესიო ქრონიკებში ნაპოვნია XV-XVI საუკუნეების ხელშეკრულება, ასომთავრულით ინგუშურ ენაზე დაწერილი. ინგუშეთის გავლენიანი მმართველი აწერს ხელს“, – ამბობს **ბორის ხარსიევი,** -– „**ჩვენ 17-18 წარწერა ავნუსხეთ ასომთავრულით ინგუშურ ენაზე შესრულებული, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ამით არ ვიყავით დაკავებული.**

ეს წარწერები ხან თარიღებია, ხან – ციხე-კოშკების სახელები, ხან – დაღუპული მეომრების სახელები. იარაღებია დამარხული მებრძოლებთან ერთად და მათზე წერია. სპეციალური შესწავლა უნდა, მაგრამ ამით ჩვენთან არავინაა დაკავებული“.

დამწერლობის გარდა, ჩრდილოკავკასიაში შესულია და დღემდე ხმარებაშია ქართული სიტყვები, მაგალითად, ჯვარი – ინგუშურად „ჟარგ“; მოძღვარი/სასულიერო პირი – ინგუშურად – „მოძღარ“; მარხვა – „მარხ“; ასევე კვირის დღეები: ორშოოთ, პარასკა, შოოთ (შაბათი) და კირანდი, რაც კვირადღეს ნიშნავს.

უკვე მე-15 საუკუნიდან, თემურ-ლენგის პერიოდში, ჩრდილოკავკასიაში ისლამის გავრცელებასთან ერთად საქართველო რეგიონზე გავლენას კარგავს. ქართულ ანბანსაც ნელ-ნელა არაგული, მე-19-20 საუკუნეებიდან კი – კირილიცა ანაცვლებს.

თეა თოფურია,
„რადიო თავისუფლება“

არტეფაქტი ჩეჩნეთიდან

იმის გამო, რომ მერაბ კოსტავა ორივე „საზოგადოების“ წევრად რჩებოდა, თამარ ჩზეიძემ და ზურაბ ჭავჭავაძემ შეძლეს, რომ აფხაზეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები სწორედ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ გაერთიანდნენ. მათვე დააფუძნეს სოხუმში ადგილობრივი ორგანიზაცია **ნუგზარ მგალობლიშვილის, ვოვა ვეკუას, თემურ ლორთქიფანიძის, ჯონი ლატარიას, ბორის კაკუბავასა** და სხვათა შემადგენლობით. ერთადერთი ადამიანი, ვინც არ შეუერთდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“ იყო გაგრის ქართველობის ლიდერი **არკადი მარკოზია.** მან გაგრაში დააფუძნა „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“.

რა სურათი რეკონსტრუირდება იმ დოკუმენტიდან, რომლებიც თავად ჯონი ლაშქარაშვილმა ატვირთა და ჯერ კიდევ განთავისუფლებულია ვირტუალურ სივრცეში? ასევე ისმის კითხვა: თუკი ზვიად გამსახურდია პოლიტპატიმარ ჯონი ლაშქარაშვილს თავის დროზე ეხმარებოდა, შეიძლებოდა, რომ მის თვალში იგი საეჭვო პირი ყოფილიყო? მაშინ ხომ არც დაეხმარებოდა. 1988 წელს, ჯონი ლაშქარაშვილმა გადაწყვიტა პარიზში გამგზავრება, რამდენადაც სურდა ემიგრაციაში განეგრძო ცხოვრება. მანამდე იგი მივიდა რუსუდან ბერიძესთან, მერაბ კოსტავას ყოფილ მეუღლესთან, რათა მისგან რაიმე კომპრომატი გამოეთხოვა ზვიადისა და მერაბის წინააღმდეგ.

მან იცოდა, რომ რუსუდანი და მერაბი ერთად აღარ ცხოვრობდნენ და, შესაძლოა, რუსუდან ბერიძე იმდენად განაწყენებულიყო. მაგრამ აქ ლაშქარაშვილი შეცდა. მან კომპრომატები ვერ მიიღო, ხოლო ეს ამბავი რუსუდანისგან მალე შეიტყო მერაბ კოსტავამაც. მისთვის ცხადი გახდა, რომ ჯონი ლაშქარაშვილი ტყუილად არ ფიქრობდა ამ კომპრომატების შეგროვებას. ალბათობა მისი კავშირისა სსრკ-ის უშიშროების სამსახურთან მერაბ კოსტავას თვალში ძალიან გაზარდა. სწორედ მისგან შეიტყო ზვიად გამსახურდიამ ეს ამბავი.

აქ სამი უცნაური გარემოებაა თვალში საცემი: პირველი ის, რომ ჯონი ლაშქარაშვილმა რატომღაც საფრანგეთი აირჩია საემიგრაციოდ. მან ხომ არც ფრანგული იცოდა, არც რაიმე განსაკუთრებული მიმართება ჰქონია ამ ქვეყანასთან. თუკი, როგორც თავად აღნიშნავს, მხოლოდ ეკონომიკური მიზეზების გამო სურდა იქ წასვლა, ამ (ანუ ეკონომიკურ) ასპექტში გერმანიაც და აშშ-იც უკეთესი იყო. მეორე ის, რომ რუსუდან ბერიძესთან იგი თითქოს მერაბის დედამ ოლღა დემურიაკოსტავამ გაგზავნა თხოვნით, მერაბი და რუსუდანი იქნებ შეარიგოო. ნუთუ ქალბატონმა ოლღამ, დაახლოებით, 36-37 წლის ახალგაზრდა კაცზე უკეთესი ვერავინ მონახა ამ საქმისთვის, როდესაც შეიძლებოდა იგივე ეთხოვა ზვიადისთვის ან მერაბის ბავშვობის რომელიმე სხვა მეგობრისთვის?

რაღა ჯონის სთხოვა, რომელსაც წესიერად არ იცნობდა არც თავად, არც მერაბი და არც რუსუდანი? გარდა ამისა, რუსუდან ბერიძემ დაწერა წერილი „უსიამოვნო ვიზიტი“, სადაც ზუსტად ის დაასახელა ლაშქარაშვილის მასთან მისვლის მიზეზად, რაზეც ზემოთაა საუბარი. და მესამე: როდესაც ჯონი ლაშქარაშვილი პარიზში ჩავიდა, ერთ-ერთი პირველი, რაც გააკეთა, ეს იყო საკმაოდ ძვირადღირებული სატელეფონო საუბრების ჩასაწერი აპარატურის ყიდვა.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჯერ არ არსებობდა მობილური ტელეფონები, რომლებშიც საუბრების ჩასაწერი მოწყობილობა ინტეგრირებულია და მის ასამოქმედებლად საკმარისია შესაბამისი ფუნქციის გააქტიურება. ჯონი ლაშქარაშვილის მიერ ამ მოწყობილობით ჩაწერილი საუბრები კი იმდენად ხარისხიანია, რომ 33 წლის შემდეგაც შესანიშნავად ისმინება. აქ რაღაც ვერ არის წესრიგში – რატომ უნდა ყიდულობდეს დისიდენტი და პოლიტპატიმარი ჩასაწერ მოწყობილობას.

მას შემდეგ, რაც მერაბმა ჯონის ვიზიტზე მოუთხრო, ზვიადმა, თავის მხრივ, აფხაზეთში ყოფნისას გააფრთხილა ვოვა ვეკუა, ნუგზარ მგალობლიშვილი და ბორის კაკუბავა, რომ მორიდებოდნენ ლაშქარაშვილს. თუმცა, ღიად იმის თქმას რაც შეეხება, რომ ლაშქარაშვილი კავშირში იყო სუკ-თან, საამისოდ ჯეროვანი მტკიცებულება დოკუმენტურ დონეზე არ არსებობდა.

ᲡᲘᲫᲕᲘᲡ ᲓᲘᲐᲪᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲘᲯᲘᲓᲔᲑᲓᲐ!

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔᲛ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲜᲐᲮᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲛᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲬᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ, ᲓᲐ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲒᲝᲠᲝᲢᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲐᲛᲩᲜᲘᲐ.

**ᲔᲓᲣᲐᲠᲓᲡ, ᲣᲔᲚᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲘᲖᲚᲐᲕ ᲞᲠᲘᲜᲪᲡ, ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲡ, ᲯᲝᲠᲯ-ᲛᲔᲮᲣᲗᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲕᲐᲟᲣᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲣᲡ, ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲥᲐᲠᲘᲖᲛᲐᲢᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ. ᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ, ᲪᲔᲙᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲔᲘᲤᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ. ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲛᲭᲔᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚ ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲒᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲤᲔᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲕᲐ. ᲛᲣᲓᲐᲛ ᲔᲚᲔᲒᲐᲜᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲛᲐ, ᲩᲐᲪᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲰᲐᲚᲡᲢᲣᲮᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲕᲘᲜᲫᲝᲠᲘᲡ ᲙᲕᲐᲜᲫᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲣᲚ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘᲐ. ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ. ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ, ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲨᲔᲡᲩᲘᲕᲚᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲔᲡ ᲑᲘᲭᲐ ᲗᲐᲕᲡᲐᲪ ᲓᲐᲘᲦᲐᲣᲬᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲞᲔᲠᲘᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲘᲜᲘᲠᲐᲕᲡᲝ. ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ. ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ, ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ ᲨᲔᲡᲩᲘᲕᲚᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲔᲡ ᲑᲘᲭᲐ ᲗᲐᲕᲡᲐᲪ ᲓᲐᲘᲦᲐᲣᲬᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲞᲔᲠᲘᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲘᲜᲘᲠᲐᲕᲡᲝ. ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲣᲤᲚᲘᲡᲬᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲐᲠᲪ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲑᲘ ᲐᲙᲚᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲗᲐᲜ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲐ. ᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲨᲝᲠᲓᲐ, ᲒᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲧᲝᲚᲔᲑᲚᲐᲓ, ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲘᲗᲝᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲔᲠᲝᲢᲘᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲐ. ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲰᲥᲜᲓᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲒᲠᲐᲤ ᲒᲐᲚᲘᲐᲪᲘᲡ ᲩᲐᲜᲡ ᲩᲘᲐᲜᲝᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ, ᲛᲝᲒᲖᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲜᲘᲢᲝ ᲛᲣᲡᲝᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲫᲔᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲰᲙᲠᲐ ᲮᲚᲔᲚ.

ᲮᲛᲐ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ, ᲣᲝᲚᲘᲡᲘᲐ ᲒᲐᲚᲘᲐᲪᲝᲡᲒᲐᲜ ᲤᲔᲮᲛᲫᲘᲛᲘᲔᲓ ᲘᲧᲝᲝᲠ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲛᲣᲪᲔᲚᲘ ᲛᲝᲔᲨᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲝᲠᲡᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ.

ᲣᲝᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲛᲭᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲣᲘᲜᲡᲢᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲡᲞᲔᲜᲡᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲚᲝᲗᲝᲛᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, 11-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲨᲝᲠᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲣᲝᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲡᲝᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲪᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲘᲖᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲪᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲗ. ᲐᲠᲪ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲑᲘ ᲐᲙᲚᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲗᲐᲜ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲐ. ᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲨᲝᲠᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲕᲘ

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ:

ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲗ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲚᲗ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

– რა თქმა უნდა, საქართველოს მომავალი არის ევროპა! ვინმე ამაზე კითხვის ნიშანს სვამს? თუ რაიმე წარმატებას მივაღწიეთ ევროინტეგრაციის გზაზე, ევროპულ ქვეყნებში ვიზის გარეშე, ქართული პასპორტით რომ თავისუფლად გადავადგილდებით, ეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მოხდა. ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, მივიღეთ კანდიდატის სტატუსი.

პირობას გაძლევთ, სწორედ „ქართული ოცნების“ პირობებში შევალთ ევროკავშირში. ფეხბურთელების გზავნილები არის ის, რაც არის ჩვენი სულისკვეთება – ჩვენი მომავალი არის ევროპა! სწორედ ასე წარმოგვიდგენია ჩვენი ქვეყანა, რომ ევროპული ღირებულებებით ვიცხოვროთ. პირველ რიგში, ევროპა საქართველოში და აქ მინდა, ჩვენი შვილებისთვის და მომავალი თაობებისთვის. ჩვენი წინაპრებიც ამისთვის იბრძოდნენ, ვყოფილიყავით თავისუფლები და დამოუკიდებლები. ნურავის შერცხვება და შეეშინდება ამის თქმის, რომ ჩვენი მომავალი არის ევროპა“, – წერს **კახა კალაძე.**

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ

დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების გზავნილები არის იგივე, რასაც ფიქრობს ყველა და რასაც კითხვის ნიშანი არ დაესმის. ამის შესახებ მან მედიასთან ისაუბრა.

მისი თქმით, ქვეყნის მომავალი არის ევროპა და ევროპული ღირებულებებით ცხოვრება. კალაძის განცხადებით, სწორედ ეს კურსი აქვს არჩეული დღევანდელ ხელისუფლებას.

„რა თქმა უნდა, საქართველოს მომავალი არის ევროპა. ვინმე ამაზე კითხვის ნიშანს სვამს? თუ რაიმე წარმატებას მივაღწიეთ ევროინტეგრაციის გზაზე, ქართული პასპორტით, ვიზის გარეშე ევროპულ ქვეყნებში რომ თავისუფლად გადავადგილდებით, ეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მოხდა. ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, მივიღეთ კანდიდატის სტატუსი.

პირობას გაძლევთ, სწორედ „ქართული ოცნების“ პირობებში შევალთ ევროკავშირში. ფეხბურთელების გზავნილები არის ის, რაც არის ჩვენი სულისკვეთება – ჩვენი მომავალი არის ევროპა! სწორედ ასე წარმოგვიდგენია ჩვენი ქვეყანა, რომ ევროპული ღირებულებებით ვიცხოვროთ. ნურავის შერცხვება და შეეშინდება ამის თქმის, რომ ჩვენი მომავალი არის ევროპა“, – დასძინა **კახა კალაძემ.**

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜᲘ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘᲐ

„საქართველოს მომავალი ევროპაშია. ეს არის ყველა ქართველის ერთადერთი გზა. წინ ევროპისკენ ასე ეხმაურება საქართველოს კალათბურთის ნაკრების წევრი, გიორგი შერმადინი რუსული კანონის პირველი მოსმენით დამტკიცებას.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲔ:

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲬᲘᲜ ᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲘᲡᲘ (ᲐᲠᲐ ᲠᲣᲡᲘ) ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲪᲐᲐ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲒᲕᲠᲗᲔᲚᲘ.

„ჩვენი მიზანი წინ სვლა და განვითარებაა რისი და არა (რუსი) გარანტიაცაა ცივილიზებული სამყარო.

მჯერა ყველას უნდა ჩვენი სიკეთე და ამ ყველაფერმა ქართველობა უნდა გამოაჩინოს იქ სადაც დიდი განვითარება მისცა სწორედ ევროპას.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲨᲐᲠᲘᲥᲐᲫᲔ:

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ, ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ!

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲠᲐᲒᲑᲗᲣᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲛᲐ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲨᲐᲠᲘᲥᲐᲫᲔᲛ.

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ:

ᲬᲘᲜ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲙᲔᲜ!

„ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ და ჩვენთვის, სპორტსმენებისთვის, არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი როდესაც ჩვენი საქმით ერს ვაბედნიერებთ და ვაერთიანებთ. ამის უდიდესი მაგალითი ცოტა ხნის წინ „დინამო არენაზე“ ვიხილეთ. სამწუხაროა, როდესაც რამდენიმე ნაწილად გახლეჩილ, დანაწევრებულ ერს ვხედავ. ძალიან მწყდება გული, რომ ამის აღმოსაფხვრელად ბევრი არაფრის გაკეთება შემიძლია გარდა იმისა, რომ ვიმედოვნო – როგორც ჩვენი საქმით, ისე სიტყვით გავერთიანდეთ და ყველანი ერთად, არავის გამოკლებით, წინ, ერთად ევროპისკენ!“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ.

ᲮᲕᲘᲩᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲖᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘᲐ, ᲬᲘᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲙᲔᲜ!

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ გზა გვაერთიანებს!! წინ ევროპისკენ!! მშვიდობა საქართველოს“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲮᲕᲘᲩᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲛᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲖᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲡ!

საქართველოს გზა და მომავალი მხოლოდ ევროპაზე გადის!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲛᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲣᲓᲣ ᲖᲘᲕᲖᲘᲕᲐᲫᲔ:

ᲐᲠᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲖᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲠᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲓᲣ ᲖᲘᲕᲖᲘᲕᲐᲫᲔ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ „ᲣᲠᲑᲐᲜ ᲤᲔᲡᲢᲐᲛᲓᲔ“...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ. ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲛᲓᲔ, ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ „ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲓᲝᲞᲠᲝᲗᲔᲖᲘᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ, 2023 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ, 196 ᲒᲔᲜᲔᲤᲘᲪᲘᲐᲠᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲐ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ 1 140 200 ᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲘᲪᲐ.

კახა კალაძემ ყურადღება „500-ლარიანი მედიკამენტების დაფინანსების“ პროგრამის შესახებაც გაამახვილა და აღნიშნა, რომ თბილისის მერია შესაბამისი სამედიცინო საჭიროების მქონე მოქალაქეების მხარდაჭერას მომავალშიც აქტიურად განაგრძობს.

„მერიის „500-ლარიანი მედიკამენტების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით, დაფინანსებულია 125 966 მომართვა. აღნიშნული პროგრამა 2022 წლიდან ხორციელდება და საპენსიო ასაკის სოციალურად დაუცველი პირებისთვისაა განკუთვნილი. მედიკამენტები გაიცემა ექიმის დანიშნულებისამებრ. მოქალაქე ჯანმრთელობის ცნობა №100-ით, მისთვის გამოწერილ მედიკამენტებს სასურველ აფთიაქში იღებს. წლის განმავლობაში, ერთ ბენეფიციარს პროგრამის ფარგლებში, 500 ლარის მედიკამენტის მიღება შეუძლია. პროგრამის 2024 წლის ბიუჯეტი 9 864 000 ლარია. პირველ რიგში, ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო ყველას. დედაქალაქის მერია მზადაა, გვერდში დაგიდგეთ და მდგომარეობა შეგიმსუბუქოთ“...

* * *

მთავრობის სხდომაზე ყურადღება ავარიული კორპუსების ჩანაცვლების საკითხზეც გამახვილდა. აღინიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი ავარიული სახლების სრულ დემონტაჟს კიდევ ორ მისამართზე განახორციელებს და მათ ნაცვლად, თანამედროვე სტანდარტების მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებს ააშენებს.

თბილისის მერის განცხადებით, ამ ეტაპზე, კონცეპტუალური დიზაინ-პროექტი დგება და ტარდება შესაბამისი ექსპერტიზები, რომლის შემდეგაც სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერები გამოცხადდება.

„სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირზე, პირველი კომპლექსის №4-ში 9-სართულიანი ავარიული კორპუსის დემონტაჟი მოხდება, სადაც 126 ოჯახი ცხოვრობს. აღგილობრივი მოსახლეობისგან შენობის დემონტაჟზე თანხმობა მივიღეთ. აღნიშნული კორპუსის ნაცვლად, თანამედროვე სტანდარტების 20-სართულიანი კორპუსი აშენდება, რომელსაც მინუს 2 სართულზე ექნება საპარკინგე ადგილები“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

თბილისის მერის თქმით, ავარიული კორპუსის დემონტაჟი განხორციელდება დიდუბის რაიონშიც.

„დიდუბის რაიონში, დიღმის მასივის პირველ კვარტალში, 14 ა კორპუსის დემონტაჟი მოხდება, სადაც 135 ოჯახი ცხოვრობს. აქაც 20-სართულიანი კორპუსი აშენდება და მინუს 2 სართულზე პარკინგი მოეწყობა“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

გარდა ამისა, თბილისის მერმა აღნიშნა, რომ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 72 ოჯახი არჩილ მეფის ქუჩის №17-ში საცხოვრებელ ფართს მიიღებს.

„ესენი ის ოჯახები არიან, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ელოდნენ თავიანთ საცხოვრებელ ფართებს, თუმცა დაპირება დაპირებად რჩებოდა. ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომლებმაც კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით ამ პრობლემის მოსაგვარებლად და გვერდით დავუდექით მათ“, – განაცხადა თბილისის მერმა.

მისივე თქმით, მერიამ შპს „დეკა დეველოპმენტთან“ გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კომპანია დაზარალებულებისთვის 5700 კვ. მეტრ საცხოვრებელ ფართს გამოყოფს.

გარდა ამისა, მშენებლობა დასრულებულია ხუთ პროექტზე და ფართები ფაქტობრივი მდგომარეობით 226 ოჯახს გადაეცემა.

„მშენებლობის ეტაპზეა 22 პროექტი, რომელზეც გაცემულია სამშენებლო ნებართვა და რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდება 1 100-მდე ოჯახი. ასევე, სანებართვო ეტაპზეა რვა პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდება 680-მდე ოჯახი“, – აღნიშნა **კახა კალაძემ.**

მისივე თქმით, ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზეა ერთი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ფართებით, დაახლოებით, 80 ოჯახის დაკმაყოფილებაა გათვალისწინებული.

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა ასევე აღნიშნა, რომ საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქუჩის №30-ის მიმდებარედ დაზიანებული გზის აღდგენის სამუშაოები დასრულდა.

კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელზეც თბილისის მერმა ყურადღება გაამახვილა, გლდანის პატარა ტბის გარშემო რეკრეაციული სივრცის მოწყობაა.

კახა კალაძის განცხადებით, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერი, რომელიც დამატებით, 40 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსის შესყიდვას ეხება, დასრულებულია.

მისი თქმით, გამარჯვებული კომპანია „თეგეტა ჰოლდინგი“ ერთი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტს MAN-ის მარკის 40 ერთეულ ბუნებრივ აირზე (CNG) მომუშავე 18-მეტრიან ავტობუსს მიაწოდებს.

„ჩვენ, თავდაპირველად, 200 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსი უნდა შეგვეძინა, თუმცა ფინანსების გამო, გასულ წელს მხოლოდ 160 ერთეული შევისყიდეთ. წელს გამოცხადებული გვქონდა დარჩენილ 40 ერთეულ ავტობუსზე ტენდერი. გვყავს გამარჯვებული კომპანია – „თეგეტა ჰოლდინგი“, რომელიც მოგვაწვდის გაზზე მომუშავე MAN-ის მარკის ავტობუსებს. შესყიდული ავტობუსები, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა მოგვაწოდონ“, – აღნიშნა **კახა კალაძემ.**

* * *

თბილისის მერიის მხარდაჭერითა და ურბანული სპორტის სახეობათა ფედერაციის ორგანიზებით, 20-21 აპრილს, დედაენის ბაღში პირველი მასშტაბური ფესტივალი – სახელწოდებით, „ურბან ფესტი ჩატარდება“.

კახა კალაძის განცხადებით, პროექტის მიზანი ურბანული სპორტის სახეობების განვითარება და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა.

„პროექტი, დღესდღეობით, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება სპორტული შეჯიბრებები, სახალისო თამაშები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა; იფუნქციონირებს კვების ზონები; ასევე ფესტივალის დასასრულს გაიმართება ღონისძიების დახურვის საზეიმო ცერემონია“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

◎ ევროლიგა

ძნელად სავარაუდო

სპორტული გმირობა – სხვაგვარად ძნელია შეფასდეს საკალათბურთო ევროლიგის პლეი-ინში ვირტუსის მიერ თურქეთში ეფესის დაჩოქება – 67:64.

შეგახსენებთ, რომ ტრავმებით გატანჯულმა ბოლონიელებმა რეგულარული სეზონი ზედიზედ 7 დამარცხებით დაასრულეს და სწორედ ამიტომ გაირთულეს გზა ოთხთა ფინალისკენ, მათმა მეტოქემ კი, პირიქით, გამარჯვებათა ზღაპრული სერიით აღნიშნა ფინიში და უკანასკნელ მომენტში შეახტა ელიტის მაძიებელთა მატარებელს, ამიტომ საკუთარი დარბაზისა და ეგზალტირებულ ქომაგთა ფაქტორების გათვალისწინებით წყვილის უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ...

ფრანგი ლეგიონერის კორდინიეს სახით იტალიურ გრანდს ლაზარეთგამოვლილი უკანასკნელი ბინადარი დაუბრუნდა, პარტნიორთა ძლევაი საკვირველში კი განსაკუთრებული წვლილი **თორნიკე შენგელიამ** შეიტანა – 13 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა.

ლუკა ბანკის შერჩეული ტაქტიკითა და გუნდური ძალისხმევით სტუმრებმა წარმატებით გააქარწყლეს ოსმალოთა ლიდერების – კლაიბერნისა და ლარკინის შთამბეჭდავი პირადი მონაგარი, ამავე ეტაპის მეორე მატჩში კი მაკაბიმ გასკონია გაანადგურა – 113:85. ასე რომ, ხვალ გადამწყვეტ ბრძოლას მეოთხედფინალის საგზურისთვის აპენინელები ესპანეთში გამართავენ.

◎ ხუთი რგოლი

მიდი და ებრძოლე!..

პარიზის ოლიმპიური თამაშებისთვის ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ნაკრების შემადგენლობა ცნობილია და შეიძლება ითქვას, რომ სტივ კერის გუნდი საფრანგეთის დედაქალაქში უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს.

„დრიმ თიმიდან“ 11 კალათბურთელი უკვე ცნობილია, რომლებიც ოლიმპიადაზე ითამაშებენ, დარჩენილია ერთი ვაკანტური ადგილი, რომელიც მოგვიანებით შეივსება, 11-კაციანი შემადგენლობა კი ასეთია:

სტეფ კარი (გოლდენ სტეიტი), ტაირის ჰალიბარტონი (ინდიანა), ჯრუ ჰოლიდეი (ბოსტონი), ლებრონ ჯეიმსი (ლეიკერსი), კევინ დურანტი (ფინიქსი), ჯეისონ ტეიტუმი (ბოსტონი), დევინ ბუკერი (ფინიქსი), ენტონი ედვარდსი (მინესოტა), ჟოელ ემბიდი (ფილადელფია), ენტონი დევისი (ლეიკერსი), ბემ ადებაიო (მაიამი).

აშშ პარიზის ოლიმპიადაზე C ჯგუფში სერბეთსა და სამხრეთ სუდანთან ერთად ითამაშებს, ხოლო მეოთხე მონაწილე ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ეტაპის დასრულების შემდეგ გაირკვევა.

◎ ოვალური ბურთი

მძვინვარე ყოჩები

ბოლნისის „ყოჩებმა“ ქუთაისის „არესი“ 32:17 დაამარცხა და დიდი 10-ის ფინალის საგზურისთვის, 21 აპრილს „ლელოს“ „ლელო არენაზე“ შეერკინება.

ქვემო ქართლელები საჩემპიონო ფლეი ოფში რეგულარული სეზონის დასკვნით ტურში მოპოვებული გამარჯვებით, მე-6 გუნდად შევიდნენ, თუმცა იქ შესანიშნავი თამაში აჩვენეს და ჯერ „ბათუმი“ დაამარცხეს ბათუმში (11:7), ახლა კი „არესს“ მოუგეს ქუთაისში. „არესმა“ რეგულარული გათამაშება მე-4 საფეხურზე დაასრულა და საბოლოოდ სეზონიც ამავე პოზიციაზე დახურა.

„აია არენაზე“ სტუმრები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ და მცირე ფინალის საგზურიც დამსახურებულად მოიპოვეს. ანგარიში დებიუტშივე გაიხსნა. ლაშა მალაღურაძემ 50/22-ზე გაახერხა და საკუთარ გუნდს მეტოქის 22-ში დერეფანი მოუპოვა. იქიდან შეტევისას ბურთი ფეხით შეაცურა, ის ერთ-ერთ მოთამაშეს მოხვდა, რომან მახათაძეს ხელებში ჩაუვარდა და ლელო ძელებსშუა გავიდა. მალაღურაძემ გარდასახვის შემდეგ მე-17 წუთზე ჯარიმა გაიტანა.

ტაიმის შუაში „არესს“ ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმა გაუცუდდა, 24-ე წუთზე კი „ყოჩებმა“ მეორე ლელო გაიტანა. 5-მეტრიან დერეფანში ბურთის ბოლო მხტომელზე მოგების შემდეგ, ამირან მიქაძემ მოულოდნელად შეუტია და ის ვერავინ შეაჩერა. მალაღურაძემ გარდასახვის შემდეგ კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა და „ყოჩებმა“ ტაიმი 20:0 მოიგო.

შესვენების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ და „ყოჩების“ თავგანწირული დაცვის მიუხედავად, 49-ე წუთზე მურთაზ ცხადაძემ ძალისმიერი ლელო გაიტანა. ცოტნე კვესელავამ გარდასახა. 55-ე წუთზე მალაღურაძე მოედნის ცენტრში ფეხით თამაშისას შეცდა, პენი ტუმბუნამ ბურთს ფეხი ორჯერ წაკრა და მართალია ლელო თავად ვერ დაამიწა, მაგრამ იქვე გივი კაშია გაჩნდა და ჩამორჩენა 8 ქულამდე დაიყვანა. კვესელავას სხვაობის კიდევ 2 ქულით შემცირება შეეძლო, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან გარდასახვა გაუცუდდა.

„ყოჩები“ გააქტიურდა და ინიციატივა მალევე დაიბრუნა. 61-ე წუთზე კოტე იაშვილმა მეტოქის ზურგში ცარიელი სივრცე მოძებნა და ფეხით გადაკიდებულ ბურთს თავადვე დაეუფლა, მას კარგად მიყვნენ თანაგუნდელები და სწრაფი შეტევა გოჩა თავართქილაძის ლელოთი დასრულდა. 78-ე წუთზე ფეხით გადაკიდებულ ბურთს უკვე გიორგი გამყრელიძე დაეუფლა, მბოჯავს დაუსხლტა და თავისი გუნდის მე-4 ლელო გაიტანა. მალაღურაძე გარდასახვიდან ზუსტი იყო.

ბოლო წუთზე „არესმა“ ხელდახელ შეტევით კიდევ ერთი ლელოს გატანა მოახერხა (ბონდო აბაშიძე), მაგრამ ამით საერთო სურათი არ შეცვლილა და “ყოჩებმა“ მცირე ფინალის საგზური მოიპოვა – 32:17. მატჩის საუკეთესო მოთამაშე ნიკა ჩხიკვაძე გახდა.

◎ ჩემპიონთა ლიგა

ბოიკოტი ესპანეთს!

ჩემპიონთა ლიგის პირველი საპლეიოფო რაუნდის შემდეგ საესებით რეალურად გამოიყურებოდა ესპანური ნახევარფინალის ვარიანტი, მაგრამ ხომ იცით – კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

ბარსელონა – პარი სენ-ჟერმენი 1:4

პირველი მატჩი 3:2

ბედის ირონიით, სტუმრებს ლუის ენრიკე თავკაცობთ, ვინც კატალონიელებს მის ამჟამინდელ კლუბთან 2017 წელს უპრეცედენტო რევანში ააღებინა – 6:1 0:4-ის შემდეგ.

მონჟუიკზე გამართული საპასუხო შეხვედრის ბედი მნიშვნელოვანწილად 29-ე წუთზე გადაწყდა, როცა რუმინელმა მსაჯმა კოვაჩმა უკანასკნელი იმედის ჯარიმის საბაბით სამართლიანად გააძევა მინდვრიდან არაუხო, არადა ამ დროს მასპინძლები რაფინიას გოლით უკვე იგებდნენ – 1:0. აქედან მოყოლებული, ფრანგები სოლიდურ უპირატესობას დაეუფლნენ და ლოგიკურად მიიყვანეს საქმე უკანასკნელ სეზონებში პრინციპულ მეტოქესთან მესამე წარმატებამდე. მათ ამოცანის შესრულება ჩავის იძულებითმა ნაბიჯმაც გაუადვილა, ვინც თამაშიდან იამალი მოხსნა. ისიც სათქმელია, რომ ანგარიში ექს-ბარსელონელმა დემბელემ გაათანაბრა, თითქოს ორივე შეხვედრაში საიმედოდ ამოკეტილმა მბაპემ კი დუბლი შეასრულა.

დორტმუნდი – ატლეტიკო 4:2

პირველი მატჩი – 1:2

როგორც მოგეხსენებათ, სწორედ სიგნალ იდუნა პარკზე ჩაატარებს თურქებთან ევრო– 2024-ის საგებიუტო შეხვედრას საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები. ამჯერად 80-ათასიან აუდიტორიას დაუვიწყარი სპექტაკლი ტერზიჩისა და სიმეონეს გაწვრთნილმა გუნდებმა დაუდგეს, უფრო იღბლიანი კი ბორუსია აღმოჩნდა.

სხვათა შორის, მასპინძლებმა მეტოქე ორჯერ დასცეს – ჯერ პირველ ტაიმში, რომელიც 2:0 მოიგეს (ბრანდტი, მარტენი), ხოლო მეორედ – შესვენების შემდეგ, როცა 2:2-ზე (ჰუმელსი – ავტოგოლი, კორეა) ესპანელებს მომაკვდინებელი ჩხვლეტა მიაყენეს (ფიულკრუგი, საბიტცერი).

ასე რომ, მივიღეთ ძნელად სავარაუდო პირველი ნახევარფინალი: პარი სენ-ჟერმენი – ატლეტიკო.

გემახსოვრებათ, რომ ისინი ჯგუფურ ტურნირშიც ერთად იყვნენ და მაშინ გერმანიაში ქულები გაიყვეს – 1:1, ხოლო პარიზში მასპინძლებმა იძალეს – 2:0.

◎ ოქტაგონზე

კონორი ბრუნდება!

UFC-ს მოყვარულთათვის ცოტა ხნის წინათ კარგი ამბავი გავრცელდა: კონორ მაკგრეგორი ბრუნდება – ამჯერად რეალურად! ინფორმაცია დანა უაითმა დაადასტურა და სოციალურ ქსელში უკვე ივენთის ფოტოც განთავსდა.

ირლანდიელი სუპერვარსკვლავი და ყოფილი ორი დივიზიონის ჩემპიონი მაიკლ ჩანდლერის წინააღმდეგ, მთავარ ღონისძიებაში (170) 5-რაუნდიან დაპირისპირებაში იბრძოლებს და საღამოც ამით დაიხურება.

UFC-ის 303-ე ღონისძიება 29 ივნისს ლას-ვეგასში გაიმართება. გადაწყვეტილების შესახებ UFC-300-ის პრესკონფერენციაზე ითქვა. ბევრი იმასაც ამბობდა, რომ მაკგრეგორი – ჩანდლერის დაპირისპირება სიმბოლურად სწორედ მე-300 ივენთზე ჩაინიშნებოდა, თუმცა ასე არ მოხდა.

რაც შეეხება ამერიკელ მებრძოლს, 37 წლის მაიკლი მსუბუქ წონაში Bellator-ის ყოფილი ჩემპიონია და უკვე წელიწადზე მეტია, რაც მაკგრეგორთან ბრძოლის მოლოდინშია. ჩანდლერს სულ 31 ბრძოლა აქვს ჩატარებული, გამარჯვებით კი 23 დაასრულა. მისი კარიერა 2009 წლიდან დღემდე გრძელდება და შეიძლება ითქვას, რომ წინ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბრძოლა ელოდება.

კონორმა მოლოს 2021 წლის ივნისში UFC 264-ზე დასტინ პორიეს წინააღმდეგ იბრძოლა. 35 წლის ირლანდიელის დაბრუნება დიდი ხანია იგეგმებოდა, მაგრამ ახლა გადაწყვეტილება საბოლოოა.

მაკგრეგორმა MMA-ში კარიერა 2008 წელს დაიწყო, ხოლო UFC-ში 2013 წლიდან ჩხუბობს. მის ანგარიშზე 28 ბრძოლა და 22 გამარჯვებაა, მათ შორის 19 ნოკაუტით მოიგო, 2 მსაჯების გადაწყვეტილებით. ბოლოს UFC 246-ზე დონალდ სერონთან დაპირისპირებაში, 40 წამში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო. ეს 2020 წლის 19 იანვარს იყო, მას შემდეგ კი უკვე 4 წელი გავიდა და კონორი გამარჯვებას მოწყურებული იქნება.

„მოყვარე მტერი“ ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერია“...

დიახ, საქართველოში „მოყვარე მტერი“ დაპარპაშებს!..

ისტორიისთვის 35 წელი რაღაც წერტილოვანი მონაკვეთია, თითქმის არაფრის მთქმელი, მაგრამ ადამიანისთვის კი ნახევარი ცხოვრებაა! დიახ, სწორედ ასეა და რა სავალალოა, რომ ქართველმა ხალხმა თავისი ცხოვრების ნახევარი სიცოცხლე ისეთ ლაბირინთებში გაატარა, სადაც მაშველი ძაფის გორგალის შემომგდებს დღემდე არ უჩანს პირი. დახურულ სივრცეში გრძოლა და ერთმანეთის ნერვების მოშლა, გაუგებრობა, დაპირისპირება, სამშობლოს გარე ძალებთან დასმენა და კიდევ რა ვიცი, რამდენ უკუღმართობებში გასულა და დახარჯულა დრო, რომელიც ჩვენი ქვეყნის, ჩვენივე ცხოვრების კეთილდღეობის მოსაწყობად უნდა გამოგვეყენებინა.

მშვიდობიან ცხოვრებას პირი არ უჩანს. მართალია, გარეშე მტერთან გრძოლა მთავრობამ მოხერხებულად აგვარიდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ჩააცხრეს შინაური შფოთი, „მოყვარე მტერს“ ვერ აღუკვეთეს სარბიელი, რაც მთავრობის სასარგებლოდ არ მეტყველებს, თუმცა ვაი, იმ „მოყვარე მტერს“, რომელიც ვერ აცნობიერებს რას იქმს. თავის თავს, თავის თვითმყოფადობას ებრძვის, ეს გზა ევროპული ჰგონია და... ასე დავიდარაბაში გადის დრო.

გაოგნებული ხალხი ვისმენთ და ვუყურებთ როგორ მრავლდებიან „მოყვარე მტრები“, თანდათან როგორ აირია ცხოვრება, როგორ ვშორდებით ერთობას, თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და ყოველივე იმას, რისთვისაც საუკუნეები ვიბრძოდით. რა არის ახლა ჩვენი ცხოვრება? ოჯახში მამა რომ არ მამობდეს, დედას თავისი ადგილი არ ჰქონდეს, როგორ ოჯახს მივიღებთ? ოჯახის მართვისთვის უთუოდ საჭიროა შენი წინაპრების გამოცდილების გაზიარება, ოჯახის წევრების ფსიქოლოგიის, სურვილებისა და მიზნების გათვალისწინება, რათა მათთან ერთად გასწიო ოჯახური ჭაპანი. ის ოჯახი რა ოჯახია, თავისი რომ არ იცის, მხოლოდ სხვებისკენ მაყურებელი დღის წესრიგსაც სხვათა ნება-სურვილით აიწყობს. ხომ უცნაურია ყოველივე ეს? კი, არისო, ამბობს ბევრი, მაგრამ ბევრიც წინააღმდეგია.

ვერ იქნა და ვერ შეთანხმდნენ ადამიანები, ქვეყნის მმართველი ძალები, ოპოზიციონერები, ისინი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყვნენ, რაც კიდევ უფრო გამომჟღავნდა მთავრობის მიერ ინიცირებული კანონის – „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ პრეზენტაციის დროს. ოპოზიციის აზრით, საქართველოს ევროპული გზის დამღუპველია ეს კანონი, – არადა, ჩვენდა გასაკვირვად, მთავრობაც და ოპოზიციაც, საქართველოს გადარჩენის გზას ევროკავშირში გაწევრებას უკავშირებს. თუმცა, ყველას გვახსოვს ოპოზიციის განწყობა, მათი მიმოსვლები ევროკავშირის წარმომადგენელთა დასარწმუნებლად – ჩვენი დღევანდელი მთავრობა ევროკავშირისთვის მზად არ არისო. ისიც კარგად გვახსოვს ვისი მოწადინებით და დაუღალავი შრომით მიიღო საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი. რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები ახლაც გაიძახიან: ჩვენა ვართ ის ძალა, რომელიც საქართველოს ევროკავშირის წევრ ქვეყანად გახდისო. ამის შემდეგ არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს ოპოზიციის მიზნები – ქვეყნის არეულობისა, ხალხის დაძაბვისა და ევროპელი პოლიტიკოსების თვალში დღევანდელი მთავრობის დამცირებელი სურათების შექმნისა. ამას ახერხებს ოპოზიცია.

არსად, არც ერთ ქვეყანაში მთავრობა არ არის ლიტერატორთა, მხატვართა ან ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენელთა ის კრებული, რომელსაც ხალხი შეიყვარებს, მაგრამ ქვეყნის გადასარჩენად, ასაღორძინებლად, ქვეყნის მშვიდობის შესანარჩუნებლად, მთავრობა, როცა გარკვეული ნაბიჯებით წინ მიიწევს, ასეთ დროს მას ხალხი გვერდით უდგას. ამ თანადგომის გარეშე ვერც მთავრობა და ვერც ქვეყანა ვერ იარსებებს. ჩვენ – ქართველ ხალხს, დიდი სურვილი გვაქვს ევროკავშირში შესვლისა, გვინდა წარმატებული ცხოვრება და მადლობა ღმერთს, რომ ამ მიზანს ემსახურება ქვეყნის ხელმძღვანელობა. კონსტიტუციაშიც ეს უწერია – ჩვენი ადგილი ევროკავშირშიაო. ამ მიზანმა მაინც რატომ არ უნდა გაგვაერთიანოს? რატომ უნდა განვაწყოთ ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები ჩვენს საწინააღმდეგოდ? არადა, ხალხის დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ამ ავი დემონსტრაციების და სანახაობების მოწყობაში „მოყვარე მტრების“ ხელი ურევია. და ხომ ვიცით „მოყვარე მტერი“ ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“. ცხადია, რომ დღეს საქართველოში „მოყვარე მტერი“ დაპარპაშობს!

გულნარა სტურუა

მაია ბითაძე:

ვინმე უცხოელს არა აქვს უფლება, ისევ „ვარდების რევოლუციისკენ“ მოუწოდოს ჩემს ქვეყანას

ამდენი იმიტომ არ გვიბრძოლია დამოუკიდებლობისთვის, ევროინტეგრაციისთვის, რომ ვინმე უცხოელმა ისევ „ვარდების რევოლუციისკენ“ მოუწოდოს ჩემ ქვეყანას! – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **მაია ბითაძე,** სოციალურ ქსელში წერს.

„საქართველო ევროპაა, საქართველო სამშობლოა, რუსეთი ოკუპანტია, უცხო ქვეყანა უცხო ქვეყანაა, ამდენი იმიტომ არ გვიბრძოლია დამოუკიდებლობისთვის, ევროინტეგრაციისთვის, რომ ვინმე უცხოელმა ისევ „ვარდების რევოლუციისკენ“ მოუწოდოს ჩემს ქვეყანას!! ქართველმა „ინტრიგანმა“ პოლიტიკოსებმა კი, ვინც ჩვენი გაკეთებული საქმეებით ქულებს იწერენ ისევ მოატყუონ ჩვენი ახალგაზრდები!!! საბედნიეროდ ყველას ვერ მოატყუებთ, მართლა რუსული საქმის მკეთებლებო! ევროინტეგრაციის გზაზე ხელის შეშლის მეტს რომ არაფერს აკეთებთ“...

ირაკლი ზარქუა:

რაც ამ უსამშობლოებში იხარჯება, ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს

– ეს მარგინალები და მათი დამკვეთები, მათი პატრონები ყველაფერს აკეთებენ, რომ პროცესი ჩაშალონ. დევი ჭაკვეტაძისგან განცხადება მოვისმინეთ, რომ მოლოდინი აქვთ, იქნებ, სისხლი დაიღვაროს, იქნებ, მსხვერპლი მოჰყვეს. რატომ? – საკაშვილის ჩანაწერი გაიხსენეთ, სადაც მის მეგობარ გოგონას ეუბნებოდა, რომ აბა, როგორ გინდა, თუ სისხლი არ დაიღვარაო, თუ ვინმე არ მოკვდა, დემოკრატია რანაირადო? მათ დემოკრატია სწორედ ასე მიაჩნიათ. სამართალდამცველებს მადლობას ვეუბნები, რომელთაც ღირსეულად დაიცვეს საზოგადოებრივი ინტერესები და მოქალაქეების უფლებები. ესენი არიან უსამშობლოები. ამათ ჰგონიათ, ქართველ საზოგადოებას დაავიწყდა, „ნაცების“ ხელწერა, დარბევები, 7 ნოემბერი. მილიონები, რაც ამ უსამშობლოებში იხარჯება, ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს“...

ოფშორებზე კანონმდებლობა იცვლება



პარლამენტის მმართველი გუნდის დეპუტატთა ინიციატივით საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შედის. ცვლილებები მიზნად ისახავს იმ ქართული კომპანიების იურიდიული მფლობელობის საქართველოში დაბრუნებას, რომლებიც ამჟამად ოფშორულ კომპანიებზე არის რეგისტრირებული. კანონპროექტის თანახმად, აქტივის ოფშორიდან ქართულ იურიდიულ პირზე გადაფორმება არ დაიბეგრება. ამასთან, დაბეგვრისგან გათავისუფლდება ამ კომპანიების მიერ საქართველოში შემოტანილი აქტივებიც.

საქმე ისაა, რომ ათობით მსხვილი ქართული კომპანია ამჟამად საგადასახადო უპირატესობების მოპოვების, თუ საკუთარი აქტივების დაცვის მოტივით იურიდიულად ოფშორული კომპანიის მფლობელობაშია. ამ კომპანიების ბენეფიციარი მფლობელები ისევ ქართველი ბიზნესმენები არიან, თუმცა კაიმანის კუნძულებში, პანამაში, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებსა თუ ბელიზში. ასეთი კომპანიების რიცხვს მიეკუთვნება მსხვილი მეტალურგიული ქარხნები, დეველოპერული კომპანიები, კომერციული ბანკი, სასტუმროები და სხვა მრავალი კომპანიები, რომლებიც ქართულ ბაზარზე ოპერირებენ. ოფშორების მეშვეობით ამ კომპანიებს საგადასახადო ტვირთის მინიმიზაცია შეუძლიათ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ჩათვლიან, რომ სახელმწიფომ მათი უფლებები დაარღვია, როგორც „პანამელ“ თუ „კაიმანელ“ ინვესტორს, საერთაშორისო არბიტრაჟში მიმართვა შეუძლია, რაც მას დაცულობის კიდევ დამატებით პრივილეგიას ანიჭებს.

შესაბამისად, ამ კანონპროექტის მიღებით „ქართული ოცნების“ დეპუტატები ცდილობენ ქართველი ბიზნესმენების მიერ უცხოეთში შექმნილი ბიზნესსტრუქტურების სრულად ქართულ იურისდიქციაში მოქცევას შეუწყონ ხელი. თუმცა, უცნობია რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდება ეს ინიციატივა იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო არბიტრაჟის მეშვეობით საქართველოს წინააღმდეგ დავის დაწყების უფლება და დაბალი საგადასახადო რეჟიმით სარგებლობის უფლება როგორც წესი ბიზნესმენებისთვის უფრო მიმზიდველია – მეტიც, სწორედ ამ მიზნით არის აღნიშნული კომპანიები ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული.

მნიშვნელოვანია გარემოება, რომ საქართველოს უმდიდრესი მოქალაქე ბიძინა ივანიშვილიც კი საქართველოში მის მიზნეს-ოპერაციებს ოფშორების გავლით ახორციელებს, რადგანაც „ქართუ ბანკი“, „ტურიზმის განვითარების ფონდი“ თუ „თანაინვესტირების ფონდი“ იურიდიულად ოფშორული კომპანიების საკუთრებას წარმოადგენს. უცნობია, რამდენად გაითვალისწინებს „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი მისი პარტიის დეპუტატთა ინიციატივას და მისი მიზნეს-სუბიექტების იურიდიულ მფლობელებად კაიმანსა თუ პანამაში რეგისტრირებული კომპანიების ნაცვლად, საქართველოში რეგისტრირებულ მიზნესებზე გადააფორმებს.

პარლამენტში შესული კანონპროექტის მიხედვით, ოფშორული კომპანიების მიერ აქტივების ქართულ კომპანიაზე გადაფორმებისას აქტივის მიმღები ქართული კომპანია შესაბამის აქტივზე დამეგვრის ვალდებულებისგან გათავისუფლდება თუკი ოპერაცია შესრულდება 2028 წლის 1 იანვრამდე, ხოლო 2030 წლის 1 იანვრამდე აღნიშნულ ოპერაციაში ჩართული საწარმო ოფშორული კომპანიისგან ფიზიკური აქტივის საქართველოში მიღებისას იმპორტის გადასახადისგან იქნება გათავისუფლებული.

კანონპროექტის განმარტებით ბარათს თან არ ახლავს ის შესაძლო კალკულაცია, თუ რამდენი მილიონი ლარის საგადასახადო შემოსავალს შეიძლება შეეხოს აღნიშნული შეღავათი.

კანონპროექტის ავტორები არიან: პაატა კვიუნაძე, ანტონ ოგოლაშვილი, ირაკლი პირცხალია, გეჟან წაქაძე, ზაალ მიქელაძე, ირაკლი ზარქუა, გოგი მეშველიანი.

წყარო: BM.GE

„ოქროს საწმისი – საქართველოს ხელოვნება“ – კრაკოვში

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ქართული კულტურისა და ისტორიისადმი მიძღვნილი მასშტაბური გამოფენა – „ოქროს საწმისი – საქართველოს ხელოვნება“ დღეს პოლონეთში, კრაკოვის ეროვნულ მუზეუმში გაიხსნება. გამოფენის გახსნას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრება.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს არის უპრეცედენტო მნიშვნელობის გამოფენა უცხოეთში საქართველოს შესახებ და ის პოლონეთის კულტურის მინისტრის პატრონაჟით ტარდება. მასშტაბური ექსპოზიცია ევროპელ დამთვალიერებელს საქართველოს მდიდარ კულტურას, ქართული ხელოვნების შედევრებს, ყოფის ამსახველ და საბრძოლო ხელოვნების გამორჩეულ ნიმუშებს გააცნობს. დაგეგმილია ქართული მოდერნიზმის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედების წარმოჩენაც. პირველად გამოიფინება პოლონეთის სხვადასხვა მუზეუმში დაცული არაერთი ქართული არტეფაქტი თუ ხელნაწერი.

გამოფენაში მონაწილეობს 14 ქართული მუზეუმი. წარმოდგენილი იქნება არჩილ გელოვანის პირადი კოლექცია.

გამოფენაში მონაწილეობს ისეთი დიდი კულტურული ინსტიტუციები, როგორიცაა: ლუვრი, ბრიტანეთის ეროვნული მუზეუმი, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმი, კრაკოვის სახელმწიფო მუზეუმი, იერუსალიმის მუზეუმი, ვაველის სამეფო სასახლე და ვარშავის ეროვნული მუზეუმი. გამოფენისთვის მომზადდა ორენოვანი – ინგლისურ-პოლონური კატალოგი. საქართველოში ექსპოზიციის მომზადებას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ნიკა ახალბედაშვილი და ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია, რომელიც არის გამოფენის კურატორი.

გამოფენის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ფოლკლორული ანსამბლი „შილდა“, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი „ძირიანი“ და ნინო ნაყეური. გამოფენა 15 სექტემბრამდე გაგრძელდება.

„ლექსის თქმა მწადის ერთისა“

„ამ სახელწოდებით გამოიცა ხალხური პოეზიის ისტორიული საღამოების მონაწილეთა კრებული. წიგნის წარდგინება სიმბოლურად 14 აპრილს – ქართული ენის დღეს გაიმართა, რადგან ზუსტად 45 წლის წინ, 1979 წლის 14 აპრილს, ვახუშტი კოტეტიშვილის ინიციატივით, შედგა ხალხური პოეზიის პირველი საღამო.

ახალი გამოცემის პრეზენტაცია ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში გაიმართა. მასში ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემკრებნი, ავტორ მთქმელები, ასევე ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის (2021-2022) ფინალისტები მონაწილეობდნენ, რომელთა შემოქმედებას ასევე აერთიანებს ახალი გამოცემა. წიგნის შემდგენელ-რედაქტორები ფოლკლორის ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელი ეთერ თათარაიძე და ფოლკორისტი, პროფესორი ამირან არაბული არიან.

არნახული წყალდიდობა დუბაიში

დუბაის საერთაშორისო აეროპორტში განაცხადეს, რომ წყალდიდობის გამო მნიშვნელოვან შეფერხებას განიცდიან და პრობლემის რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრაზე მუშაობენ.

როგორც დუბაის საერთაშორისო აეროპორტის განცხადებაშია აღნიშნული, ფრენების უმეტესობა გაუქმდა ან გადაიდო. ასეთი წყალდიდობა არაბეთში არავის ახსოვს.

ზოოპარკში ხანძარს ორასზე მეტი ცხოველი შეეწირა

რუსეთის მიერ ანექსირებულ ყირიმში, ევპატორიის კერძო ზოოპარკში ხანძრის შედეგად 200-ზე მეტი ცხოველი დაიხოცა. ტრაგედია გასულ ღამით მოხდა. ზოოპარკ „ტროპიკ პარკში“ ხანძართან დაკავშირებით პროკურატურას გამოძიება აქვს დაწყებული. ცეცხლის გაჩენის სავარაუდო მიზეზად მოკლე ჩართვა სახელდება.

ზოოპარკი ხუთსართულიან შენობაში იყო განთავსებული. რუსულ მედიაში გავრცელებული ცნობებით, საგანგებო სამსახურების თანამშრომლებმა ორი დათვის გადაჩენა შეძლეს. მათი ვოლიერები მოშორებით მდებარეობდა. ასევე ზოოპარკიდან შეძლეს დაწესებულების თანამშრომლის გამოყვანა.

გაფიცვა საბერძნეთში... ითხოვენ ანაზღაურების გაზრდას

საბერძნეთში გემებისა და მატარებლების თანამშრომლები გაიფიცნენ, როგორც „როიტერი“ წერს, გაფიცვას შეუერთდნენ ავტობუსებისა და ტაქსის მძღოლებიც, რომლებიც ანაზღაურების გაზრდას ითხოვენ.

საბერძნეთმა ამ თვეში თვიური მინიმალური ხელფასი 6.4%-ით გაზარდა 830 ევრომდე, რაც მეოთხე ასეთი ზრდაა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, თუმცა სატრანსპორტო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს საკმარისი არ არის.

პროფკავშირების განცხადებაში, რომელიც დაახლოებით 2,5 მილიონ თანამშრომელს წარმოადგენს, აღნიშნულია, რომ ისინი ვერ ახერხებენ ამჟამინდელი ხელფასით საკვებისა და საცხოვრებელი ხარჯების დაფარვას. საბერძნეთში ჟურნალისტები დაბალი ანაზღაურების გასაპროტესტებლად 24 საათით გაიფიცნენ.

გაფიცვა გუშინ დილით დაიწყო. როგორც ათენის ყოველდღიური გაზეთების პროფკავშირში განაცხადეს, გაფიცვაში ყველა მედიასაშუალებაში მომუშავე ჟურნალისტები ჩაერთვებიან. მათივე თქმით, საბერძნეთში ჟურნალისტების ანაზღაურება მიზერულია, ხოლო შრომის პირობები – გაუსაძლისი. პროფკავშირებში განმარტავენ, რომ ხელფასის სიმცირე, საგოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ჟურნალისტურ საქმიანობაზე და სანდო ინფორმაციაზე, რაც დემოკრატიის ფუნქციონირებას ხელს უშლის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბის კლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6753; ევრო - 2.8473;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3337;
100 რუბლი - 2.8423; თურქული ლირა - 0.0835;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5708;
1000 სომხური დრამი - 6.8002

ამინდი 19 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +10,	დღე +31
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +28
თბილისი:	ღამე +15,	დღე +30

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge